საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, მაისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible]

№ 87 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

868

ქ. ქუთაისში კვირას, 2 მაისს 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სტუდენტ

ანტონ ილარიონის ძე ხაზარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ მშობლები გულჩინა გაიოზის ასული და ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე შვილებითურთ. (1439 2—2)

ღრმად დამწუხრებული დედა უდროოდ გარდაცვალებულ

გიგი კორძაიასი

და ილიკო კორძაია თავისი შვილებით უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირს, ვინც კეთილი ინება და მიიღო მონაწილეობა გიგის გასვენების დღეს, პირადი დასწრებით, ტელეგრამის გამოგზავნით, აგრეთვე მატერიალური დახმარებით. ამასთანავე უღრმეს მადლობას სწირავს ქ. ქუთაისის პირველი გიმნაზიის ინსპექტორს თავის კოლეგიით და გიგის ამხანაგებს მოწაფე ახალგაზრდობას, რომლებმაც უზომო პატივი სცეს როგორც თავიანთ დასწრებით, აგრეთვე მატერიალური დახმარებით, წარმოდგენის გამართვით და ურთიერთშორის შეგროვებული ფულის გადაცემით მშობლებზედ 14 ათასი მანეთი. (1452 1—1)

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა: ეკატერინე (კატო) და იოსებ, ბიძა რომანოზ, ძმები: გრიშა და ალექსანდრე, დები: ნინა და მარო, რძალი მაშო და სიძე თეოფილე მაჩაიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რუსეთში გარდაცვალებას კაპიტან

ესე (ვალოდია) იოსების ძე ქლენცის

რომლის ტირილი დანიშნულია დაბა ხაშურში კვირას, 2 მაისს. (1458 1—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მართუსია, დედა ელპიტე, ძმები: დავითი, ლადიკო და სევერიანე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკის მოსამსახურე ექიმის თანაშემწე

ირაკლი ბესარიონის ძე წულაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება შაბათს 1 მაისს ქ. ლანჩხუთში დილის 11 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაზე. (1457 1—1)

ღრმად დამწუხრებული ვახტანგ და მამუკა [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 2 მაისს 1 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი საყვარელ მეგობრის

ისაკ ტარასაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1469 1—1)

გულდამწვარი დედა კატო, ძმა ალექსი, და ნათესავი ელენტინა, სიძე დიმიტრი ელენტი, ბიძაშვილი გიგო სიამაშვილი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ კვირას 2 მაისს სოფ. მთისპირის (გურია) ეკლესიაზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათის დაუვიწყარის უდროოდ გარდაცვალებულის

არისტარხო იოსების ძე სიამაიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1465 1—1)

თფილისის კოოპერატივი „შრომა"-ს გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 2 მაისს, დილის 10 საათზე ავჭალის აუდიტორიაში მესამეჯერ მოწვეულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება,

რომელიც კანონიერათ ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ. გამგეობა. (1456—1—1)

დამატებითად კონკურსის პირობებისა მთავრობის საგანგებო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ სეისმომძლე საცხოვრებელ სახლების პროექტების წარმოდგენის ვადა თავდება 15 მაისს ა/წ. 12 საათზედ, რის შემდეგაც არც ერთი გეგმა განხილულ არ იქნება.

მთავრობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე. (ნ. 2—1)

სათადარიგო ჯარისკაცების საყურადღებოდ

ამითი ცხადდება, მობილიზაციით გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცებს, რომლებიც ჯარის ნაწილებში (სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში) გამოცხადდებიან სახმარებლად სრულიად ვარგისს საკუთარ ტანისამოსში და ფეხსაცმელებში (ჩექმებში ან ბათინკებში), მიეცემათ ნივთების ღირებულობა მათი ვარგისობის მიხედვით შესაფერი ფასები თანახმად უკვე დამტკიცებულ ბრძანებისა.

სამხედრო სამნეო კომიტეტი. (ნ. 3—3)

თფ. მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ამა წლის 2 მაისს საღამოს 7 ს. სახალხო სახლში (ზუბალაშვილის სახელობისა) იწვევს

საერთო კრებას

თფ. მუშათა საბჭოს პროფ. კავშირის ცენტ. საბჭოს და ქ. თფილისის ყველა პროფ. კავშირის გამგეობისას. დღის წესრიგი: **თანამედროვე მომენტი.** საბჭოს ყველა წევრებმა და აგრეთვე პროფ. კავშირისამ თან უნდა იქონიონ მანდატი, რომლებიც შემოწმებულ იქნებიან კარებში შესვლის დროს. ბიურო. (ნ. 2—2)

ქართული კლუბი

ორშაბათს, 3 მაისს, 1920 წელს

ცნობილ მსახიობთა, მგოსნების, მხატვართა, მწერალ-ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით გაიმართება **რუსულ ენაზე**

მოხსენება—დისპუტი

შემდეგ თემაზე:

სამხატვრო თეატრი, მისი წარსული აწმყო და მომავალი

მომხსენებელი: **აკ. ფაღავა.** კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ახმეტელი ალ., ვეშაპელი გრ., გომართელი ივ., დიმოვი ნ., ქიქოძე გერ., კრემერი, ლაზარევი ბ., ლეონგრინი (გერცო-ვინოგრადოვსკი) ლვოვი იაკობ, ნათაძე ლეო, და აგრეთვე მსურველნი დამსწრეთა შორის მიიღებენ კამათში მონაწილეობას. ბილეთები იყიდება ქართ. კლუბის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათი 3 მაისი

ტანვარჯიშული გამოსვლა საზოგადოება

შევარდენისა

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (1467—1—1)

საქართველოს სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პირველი მაისი

ამხანაგებო! დღეს მუშათა დღესასწაულია. პირველი მაისი—ეს არის საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის დღე თავის საბოლოო განთავისუფლებისა და კაპიტალიზმის მონობის დასხვრევისათვის.

31 წელია, რაც ეს დღესასწაული დაწესდა. 1889 წლიდან მოკიდებული პირველ მაისის დღეს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასი აშკარად თუ ფარულად ხელს უწვდის თავის უცხოელ თანამებრძოლს და თანამოძმეებს და შეხარის იმ ნეტარ დღეს, როცა დადგება ბოლო ბურჟუაზიის ბატონობისა და გამობრწყინდება მზე მშრომელთა სამეფოს დაფუძნებისა.

მუშათა მჩაგვრელნი და მშრომელთა მცარცველნი შეშფოთდნენ. იმპერიალისტური სახელმწიფონი შეეცადნენ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა ერთი მეორის საწინააღმდეგოთ ამხედრებას და მათი სისხლით თავისი ბატონობის განმტკიცებას. მსოფლიო ომით ისინი პირველ ყოვლისა საერთაშორისო პროლეტარიატს ებრძოდნენ. ომმა დაქსაქსა მშრომელი ხალხი და შეარყია მუშათა სოლიდარობა. მაგრამ თანდათან იფანტება ომით შექმნილი ბურუსი. საერთაშორისო პროლეტარიატი ცდილობს მთელის ძალ-ღონით ომიანობით დათესილი შოვინიზმის მოსპობას, ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას და მსოფლიო ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ ყველა ქვეყნის მუშათა დარაზმვას.

გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!

მსოფლიო ომმა გაანადგურა უთვალავი სიმდიდრე და გააღატაკა მშრომელთა ქვეყნიერება. მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ხოლო მუშათა კლასი შიმშილობისა, სიცივისა და აუწერელ სიღატაკის მორევში გადაისროლეს. კულტურა საფრთხეში ჩავარდა. მაგრამ ომს ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს. იმპერიალისტებმა ხელახლა გადაჭრით უარყვეს ლოზუნგი განიარაღებისა და საერთო მშვიდობიანობის დამყარებისა, რითაც წინეთ შეპყრობილ ხალხს ატყუებდნენ და ომის ველზე ერეკებოდნენ. მშვიდობიანობის დამცველი მხოლოდ მშრომელი ხალხია. და აი დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი მოითხოვს იმპერიალიზმის დამხობას, ხალხთა საწინააღმდეგოთ აგრესიულ პოლიტიკის უარყოფას და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებას.

ძირს იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს ერთა თავისუფალ კავშირს!

ომმა მშრომელთა რაზმის არევა-დარევა გამოიწვია მაგრამ მანვე წარმოშვა ის ჯადოსნური ძალები, რომელიც დღეს ბურჟუაზიის ბატონობას ემუქრება და მას ძირს უთხრის. მუშათა კლასი ვერ შეურიგდება იმ ჩაგვრა-მონობას და საზოგადოებრივ დაშლილობას, რაც მსოფლიო ომმა გამოიწვია. და აი საერთაშორისო პროლეტარიატი ძალ-ღონეს იკრებს, ის თავის მოძმეებს სხვადასხვა ქვეყნებში უკავშირდება, და ახლოა ის ბედნიერი დღე, როცა ის დაამტვრევს ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეს და შეუდგება მშრომელთა ბედნიერების სამეფოს აგებას.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

დიდი იმპერიალისტური სახელმწიფონი წვრილ ერთა დამონებით და მათი გაძარცვით სულდგმულობენ. ამ გზით მიდის საბჭოთა რუსეთიც, რომელმაც გასულ წელს დაარღვია თავისუფალი უკრაინა, ებრძოდა ყველა ერს ყოფილ რუსეთის იმპერიისა, რომელთაც მოიპოვეს თავისუფლება ერთა თვითგამორკვევის უფლების თანახმად. ამჟამად საბჭოთა რუსეთმა ფეხქვეშ გათელა აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა და ემუქრება საქართველოს საზღვრებს. ეს იმპერიალისტთა წინანდელის აზრების აღორძინებაა, მათი ძალმომრეობის დაუსჯელობაა. მუშათა კლასი ერთა თავისუფლების მოციქულია და წვრილ ერთა განთავისუფლების ბაირაღდარია. საქართველოს მშრომელ ხალხს „კომუნისტ" იმპერიალისტთა მუქარა ვერ შეაშინებს. ის დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობას ყოველი ძალ-ღონით დაიცავს.

გაუმარჯოს წვრილ ერთა თავისუფლებას!

სოციალიზმის დამყარება შეკავშირებული და გათვითცნობიერებული მუშათა კლასის საქმეა. სწორედ ამ მიზნით მოითხოვს პირველი მაისის დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას. ეს მუშათა გათვითცნობიერების საუკეთესო იარაღია და მის საზიანოდ გამარჯვებას აქვეითებს. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ მუშათა კლასს მოუპოვა ეს მტკიცე და ძლიერი იარაღი. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში 8 საათის სამუშაო დღე მტკიცეთ დაცულია. მაგრამ ეს გამარჯვება უარყვეს კომუნისტებმა რუსეთში. მათ დაანგრიეს წარმოება, კიდევ უფრო დასცეს მშრომელი ხალხის ისედაც შერყეული ეკონომიური მდგომარეობა და ეს მას შემდეგ, რაც გარეკეს დამფუძნებელი კრება და გაანადგურეს სამოქალაქო ომით დემოკრატიის რაზმები. და აი მათ დააკანონეს მრეწველობის მილიტარიზაცია, მუშათა მიჯაჭვა ფაბრიკა-ქარხნებში, შემოიღეს 12 საათის სამუშაო დღე, ლამის სრულ გააუქმეს პირველი მაისის დღესასწაული და შრომის ზეიმის დღესასწაულის დღეს გამოთიშეს რუსეთის პროლეტარიატი მუშათა საერთაშორისო ოჯახიდან. ეს ინტერნაციონალის ლოზუნგთა დასამარება და რეაქციის გამარჯვებაა.

ჩვენი მუშათა კლასი ამ გზით ვერ ივლის. ის მტკიცეთ დაიცავს რევოლიუციის მონაპოვართ და 8 საათის სამუშაო დღეს გამოიყენებს თავის რაზმთა შესაკავშირებლად, წარმოების განვითარებისთვის, ეკონომიური კეთილდღეობის გასაფართოებლად და საქართველოს რესპუბლიკაში მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად. ეს შეიძლება შრომის ნაყოფიერების განვითარებით. სოციალიზმი კეთილდღეობის და სიმდიდრის და არა სიღატაკის საუფლო უნდა შექმნას. შრომის ნაყოფიერობა მისი საფუძვლის გზა და ხიდია.

გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!

დღეს მუშათა ბრწყინვალე დღესასწაულია.

საქართველოს მუშათა კლასმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა, მან დაამყარა დემოკრატიული რესპუბლიკა, მოიგერია მომხდური იმპერიალისტები, შექმნა თავისუფალი მშრომელთა ბატონობისა და საერთაშორისო პროლეტარიატის რაზმებთან ერთად მიემართება წინ, სოციალიზმის ბრწყინვალე სამეფოსაკენ.

დღეს ჩვენ ვუძღვნით მხურვალე სალამს მებრძოლ მუშათა ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

ძირს იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს წვრილ ერთა თავისუფლებას!

გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს!

ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

შრომის დღესასწაული

პირველი მაისი—ბრძოლის დღეა და არა დასვენების, პირველი მაისი—საომარი ყიჟინით მოცულია და არა ზეიმით. პირველი მაისი—მტერთა შემზარავია და არა შემრიგებელი. პირველი მაისი—კლასიური დღესასწაულია და არა საყოველთაო. და ჩვენ კი ვდღესასწაულობთ მას, მთელი რესპუბლიკა, მთელი ხალხი, ყველანი, დიდი და პატარა, თვით ისინიც, ვისთან ბრძოლის პროცესში გამოუმუშავა მუშათა კლასის გენიამ ეს დღესასწაული.

რათ მოხდა ასე?

იმიტომ, რომ მუშათა კლასმა თვით რესპუბლიკა თავის მოკავშირეთ გაიხადა, უკეთ რომ ვთქვათ, იგი თვით გახდა მას მოკავშირეთ, მფარველთ და შემოქმედათ. მუშათა კლასმა დაიპყრო რესპუბლიკა, დაიჭირა ხელში მთელი სახელმწიფოსი. იგი გახდა მისი კარნახის მომცემი, მისი სულის ჩამდგმელი, კანონმდებელი, და წარმმართველი მისი პოლიტიკის.

ამრიგათ მუშათა კლასი იქცა რესპუბლიკის მეთაურად და მუშათა დღესასწაული სახელმწიფო დღესასწაულად. მაშასადამე იგი ეროვნულ დღესასწაულათ იქცა? ყველა კლასის შემაერთებელ ძალად გადაიქცა? სრულიადაც არა. იგი დარჩა იმად, რაც იყო. ბრძოლის დღეთ, კლასიურ დღესასწაულათ. მან მხოლოდ მოიპოვა ერთი დიდი გამარჯვება, აიღო დიდი პოზიციები, მაგრამ წინ უძევს კიდევ უფრო ძლიერი საომარი დღეები, ახლები აქვს კიდევ უფრო მაგარი პოზიციები.

მართალიც, რა არის აზრი პირველი მაისის?

იგი დაარსდა ორი მიზნით: 8 საათის სამუშაო დღის შემოსაღებათ და მილიტარიზმის მოსასპობათ.

მაგრამ ეს ორი მოთხოვნილება ხომ ქვა-კუთხედია ძველი წყობილების დამხობის და ახალი, სოციალისტური ურთიერთობის დამყარების. მაშ. ხალხმაც პირველი მაისი, ეს სოციალიზმის წინამორბედი დღესასწაულია.

ეს დიდი მიზანი კი დღესაც განუხორციელებელია. 8 საათის სამუშაო გვაქვს, მაგრამ მილიტარიზმი ჯერ არ დამხობილა! ცხადია ძველი ბურჟუაზიული ქვეყანა ჯერ ისევ დგას თავის ფეხზე და კვლავ იარაღით ხელში იმონებს შრომას, იმორჩილებს ხალხებს, ყვლეფს და აძარცვებს მუშათა კლასს. ცხადია აქედან, რომ პირველი მაისი არის არა მოგონება წარსულის, არამედ ბრძოლა მომავლისათვის.

საბჭოთა რუსეთმა გადააქცია იგი შრომის მეგობრად, მილიტარულ შრომის, მონური შრომის იარაღათ. მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის მაგალითია იმის, თუ როგორ არ უნდა მოვექცეთ ამ დღესასწაულს. მაგალითია უარყოფითი და გამაფრთხილებელი.

პირველი მაისი ერთი ერის და სახელმწიფოს ფარგლებში არ თავსდება. იგი საერთაშორისო დღეა. იგი მხოლოდ იმით არის ძლიერი და მნიშვნელოვანი, რომ ყველა ქვეყნის მუშებს აერთებს ერთ დიდ შრომის არმიაში და უპირისპირებს საერთაშორისო ბურჟუაზიის ჯარსა და კაპიტალს.

და განა გაქრა ეს ბურჟუაზია, რომ მუშებმა დღეს ისევ წაახარონ ქედი დაზგის წინაშე და თაყვანი სცენ ოქროს, რომელიც სხვას აძლევს შვებას, თაყვანი სცენ კაპიტალს, რომელიც მათ მძიმე უღლად აწევს კისერზე?

არა და ათასჯერ არა. დღეს თვით კაპიტალმა უნდა მოიხაროს ქედი მუშათა ძლიერების წინაშე. დღეს ფაბრიკა უნდა განთავისუფლდეს ყველგან იარაღის როლიდან და ახალ როლს, ახალ მნიშვნელობას ეზიაროს.

პირველი მაისი ხომ მისი განთავისუფლების დღეცაა. შრომის მეფობა და არა კაპიტალის, ადამიანის ბატონობა და არა ადამიანზე ბატონობა,—აი რა იდეას ემსახურება დღევანდელი პირველი მაისი.

და განა ეს მიზანი მიღწეულია, და ჩვენ შეგვიძლია გულხელდაკრეფილი დავჯდეთ და განცხრომას მივეცეთ?

არა, ამხანაგებო! პროლეტარიატი დღეს უნდა აღდგეს მთელი თავის მრისხანებით, თავის წითელი დროშებით, თავის საომარი ყიჟინით, და მთელი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად ხმამაღლა წამოაყენოს პირველი მაისის უძველესი ლოზუნგები.

მთელი ქვეყნის მუშები ერთდებიან ამ დღეს. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთი კი განზეა, კიდევ მეტი—იგი მტრულად დარაზმული მოდის ჩვენს წინააღმდეგ. მუშათა სახელით, ხმალამოღებული მოდის საბჭოთა რუსეთი ოსმალეთის ფაშებთან ერთად ჩვენი დემოკრატიის დამხობის ჩანაფიქრით.

იმპერიალიზმი, ნაციონალისტური შოვინიზმით გაჟღენთილი, მაგრამ მაინც წითელ სამოსში გახვეული მოდის ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ, მოდის მუშათა კლასის დაფუძნებულ მონაპოვართა ამოსაფხვრელად.

პირველი მაისი ბრძოლის დღეა, მან დღეს განსაკუთრებით უნდა აღიმაღლოს ხმა იმპერიალიზმის, მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ქვეყანა მილიტარული ჯარის და მილიტარული შრომის, ე. ი. დამპყრობელი მისწრაფებით, დამონებული თავისებურებით და ბუნებით, მოიწევს ჩვენი მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მილიტარული რუსეთ-აზერბეიჯანის და ოსმალეთის ფაშების ხელით ცდილობს ყელში სწვდეს ჩვენს მუშათა არმიას. და ლოზუნგი საერთაშორისო მუშათა კლასისა: ძირს მილიტარიზმი, ხდება სადღეისო, სამოქმედო ლოზუნგათ.

მუშათა კლასი იარაღდება თავის დასაცავად. იმპერიალისტური რუსეთი სხვების დასაპყრობათ. დემოკრატია საქართველოსი იცავს რევოლიუციას. გადაგვარებული რუსეთ-ოსმალეთის საუბრის კომუნიზმი ანგრევს და ანადგურებს მას.

და ეს ბრძოლა ორი იდეის, რევოლიუციის და გადაგვარებულ რეაქციის, არის იმავე დროს ბრძოლა ქართველ ერის და დამპყრობელი ძალების შორის.

თავისუფლება მუშათა კლასის—ერთის თავისუფლებას ერისას, დამოუკიდებლობას, ხელშეუხებლობას მისი შინაური წყობილებისას. და ჩვენ დღევანდელ ანტიმილიტარულ ლოზუნგებს უფრო მეტის სიძლიერით უნდა მივუმატოთ: გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას! გაუმარჯოს ჩვენს დამოუკიდებლობას!

დღეს იარაღი ხელში და რევოლიუციური წმინდა აზრები თავში—რევოლიუციური ცეცხლი გულში. აი რა უნდა იყოს ჩვენი სამკაული.

პირველი მაისი მებრძოლისთვის არის

დღე

ფრანგული ცნობით სან-რემოს კონფერენციის მუშაობით იტალიის ოფიციალური წრეები უკმაყოფილონი არიან.

— —

ბაქოში ბოლშევიკების მთავრობას დაუპატიმრებია ადმინისტრაციის და სასამართლოს ზოგიერთი წარმომადგენლები.

მობილიზაცია თფილისში კარგათ მიდის. პირველ დღესვე ახალგაზდობა მრავლად გამოცხადდა.

გაჩენილი: იგი ომის ალში იწრთობა, რევოლიუციის დაცვასა და განმტკიცებაში ხალისდება, მისი ბრწყინვალე ნატვრები—ნიშნავს მშვიდობით დასახლებას, [illegible] შეკავშირებას თავის წმინდათა წმინდის დასაცველად.

და ვინც ამ კავშირიდან გამოდგებოდა, ვინც წინ გადაუდგება, ან განზე გაიწევს, ის დემოკრატიის მუშათა კლასის, კიდევ მეტი, ის მოღალატეა საერთაშორისო იდეალების და მუშათა კლასი მას დაგმობს, გაკიცხავს, შერისხავს.

ჩვენ კი, ამხანაგებო, ევროპის მუშათა კლასთან ერთად, სოციალ ლოზუნგებით, ბრძოლის ყიჟინით, თავდადებულ-რევოლიუციური სულისკვეთებით შევძახებთ:—

ძირს მილიტარიზმი!

ძირს შავ წითელი იმპერიალიზმი! გაუმარჯოს ინტერნაციონალურ სოლიდარობას!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს.

მუშათა კლასის დღესასწაული

ქვეყანა დიდია; ბუნება მდიდარი. სიცოცხლე მოკლე და მეტად ლამაზი. რატომ არ უნდა იყოს ყველა ბედნიერი? რატომ არ უნდა იყოს ყველა კმაყოფილი?

უნდა იყოს, მაგრამ არ არის. და მთელი ისტორია ბრძოლაა ამ კითხვის გადასაწყვეტათ.

დიდი ხნიდანვე კაცობრიობა ორ ბანაკათ გაიყო. ერთ მხარეზე დადგენ ყველა მექონეები და ქვეყნის [illegible], მეორეზე მშრომელი ხალხი.

— ქვეყანა მარტო ჩვენ გვეკუთვნის, გაიძახიან პირველნი,—თქვენ ყველა ჩვენს კეთილ დღეობას უნდა ემსახუროთ.

— ქვეყანა ყველასია და ის ყველას საკუთრებად უნდა იქნეს მოწყობილი, მტკიცეთ უპასუხებენ მეორენი.

ეს ბრძოლა ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის საწარმოებს უძველეს დროს, მონობის ხანაში, შემდეგ საშუალო საუკუნოებში ბატონ-ყმობის დროს. საწარმოებს დღეს კაპიტალისტებსა და მუშათა კლასს შორის.

მრავჯერ გადაუხდია კაცობრიობას ეგრეთ ბრძოლა, მაგრამ [illegible] ვერ შეედრება მუშათა კლასის ბრძოლას.

ის მეტათ დიდი, ვრცელი, კეთილშობილი, წარმტაცი და მნიშვნელოვანია.

მრავჯერ უთამაშნია დიდი როლი ისტორიაში სხვადასხვა წრესა და კლასს, მაგრამ განსაკუთრებული თავისი მნიშვნელობით ის როლი, რაც ისტორიამ მუშათა კლასს დააკისრა.

კაცობრიობის სრული განთავისუფლება და სრულებით ახალი ცხოვრების დაწყება,—აი მუშათა კლასის საბოლოო მიზანი.

სრული გარდაქმნა კაცობრიობის მარტო ცხოვრებისა კი არა, არამედ სულისაც,—აი რა შედეგი უნდა მოჰყვეს მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებას.

მშრომელმა ხალხმა მრავჯერ გაიმარჯვა წარსულში, მაგრამ სრულად ვერ ისარგებლა თავისი გამარჯვებით.

ქვეყნის მფლობელები პოზიციას იცვლიდენ და ისევ ბატონობდენ. დღევანდელ ბრძოლაში მათ უკვე მიაღწიეს უკანასკნელ პოზიციას—კაპიტალისტურს,

სხვა პოზიცია მეწარმეებს აღარ დარჩენია და მისი საბოლოო დამარცხება და მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება გარდაუვალია.

ამ გამარჯვების [illegible], მისი მტკიცე თავდები პირველი მაისია.

მუშა ხალხს აქვს სხვადასხვა დღესასწაული, მაგრამ პირველი მაისი უდიდესი, უწმინდესი დღესასწაულია მთელი ქვეყნის მუშათა კლასისა.

ენებით, სარწმუნოებით, განვითარებით, წარსულით და აწმყოთი,—საერთოდ მთელი კულტურით სხვადასხვა ერის მუშათა კლასი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან.

პირველი მაისი სპობს ამ განსხვავებას. პირველ მაისს მთელ ქვეყნიერების მუშათა კლასი ერთ ოჯახს შეადგენს ერთის ფიქრით აღტყინებულს, ერთის სურვილით გატაცებულს, ერთის გრძნობით გამსჭვალულს.

უკვდავი სიტყვები; პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო. პირველ მაისს სიტყვები კი აღარ არის მარტო,—საქმეა, სინამდვილე. პირველ მაისს მთელი მშრომელი ნაწილი კაცობრიობისა შეადგენს ერთ მთლიან რაზმს და გამოდის და მოქმედებს, როგორც ერთი კაცი.

თუ ზოგჯერ სოლიდარობა სხვადასხვა ერის მუშათა შორის ირღვევა, პირველ მაისს ერთობის, სოლიდარობის სრული განმტკიცებაა.

მუშათა კლასი ჩაბმულია ყოველ დღიური ცხოვრების ჭაპანში და საბედისო კითხვების რკალს დასტრიალებს ძალაუნებურად მისი გონება.

პირველ მაისს ის იძრობს თავის ჭაპანს, ცილდება ყოველ დღიურობას და მთელი მისი არსება საბოლოოს, უკეთესს, მარადიულს ეზიარება.

ეს არის სოციალიზმი.

ყოველდღიური ბრძოლის გზაზე სხვა და სხვა დაბრკოლებანი ზოგჯერ ხვდება, ხანდახან ეჭვნი მერყეობენ მუშათა კლასის გულში. პირველ მაისს ის უკუაგდებს ყოველგვარ ეჭვნეულსა და სევდას და გულმხიარული, სრულის იმედით შეჰყურებს მომავალს და შეურყევლათ სწამს თავისი მოწოდება, თავისი საბოლოო მიზნის სიმტკიცე.

პირველი მაისი მუშათა კლასის გადამხალისებელია.

შრომისა და ბრძოლის გზაზე ის იღლება, პირველ მაისს მისი სული ისვენებს, ხალისდება და ახალ ძალღონეს იკრებს ბრძოლის გასაგრძელებლათ.

პირველი მაისი მუშათა კლასის ნების განმტკიცებაა, მისი რწმენის აღორძინება.

პირველი მაისი უკანასკნელი იდეალის სიმღერაა, სოციალიზმის წინამორბედი სხივია.

პირველი მაისი მუშათა კლასის ძალღონის გამოფენაა, რასაც მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

მუშათა კლასი ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს თავის დარაზმულ ოჯახს.

მტერი კი აშკარათ დაინახავს, თუ ვისთანა აქვს მას საქმე.

პირველი მაისი მუშათა კლასის შეგნებაა, მისი პოლიტიკური მომწიფებაა.

და თუ ეს შეგნება იმდენათ მომწიფებულია, რომ ის მეხს ატეხს, მეხს კაპიტალიზმის დასამხობათ, ეს უკვე ნახევარი გამარჯვებაა მუშათა კლასისა.

მუშათა კლასს, იმის საბოლოო მიზანს მრავალი მტერი ჰყავს, მტერი ძლიერი, გამოცდილი, შეიარაღებული და სასტიკი.

ამიტომაც მუშათა კლასმა პირველ მაისს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, განსაკუთრებულათ უნდა იდღესასწაულოს ის.

მთელი თავისი სოციალისტური შეგნება, შეურყეველი რწმენა, მტკიცე ნება, გარდუვალი გადაწყვეტილება და ძალა ამ დღეს უნდა გამოამჟღავნოს მუშათა კლასმა.

დღევანდელ პირველ მაისს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ბოლშევიკები სოციალიზმს აზიის ფანატიკოსებში ეძებენ.

ჩვენმა მუშათა კლასმა უნდა სთქვას დღეს ერთხელ კიდევ, რომ ის ევროპიდან ელის სოციალიზმს და არა აზიიდან.

ბოლშევიკები მოადგენ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს და უნდათ გადასთელონ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მოპოვებულია მუშების სისხლით. დღეს ჩვენმა მუშათა კლასმა უნდა აუწყოს ყველას—მტერსაც, მოყვარესაც, რომ უკანასკნელ ამხანაგების სისხლს ის მიუმატებს თავის სისხლს და დემოკრატიულ რესპუბლიკას არავის დაუთმობს.

ბოლშევიკებს უნდათ, დაეპატრონონ ჩვენს ქვეყანას.

ჩვენმა მუშათა კლასმა დღეს უნდა განაცხადოს ხმა მაღლა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მე ავაშენე და მისი ერთადერთი პატრონიც მე ვარ. ამ ორი წლის წინათ ბოლშევიკებმა ოსმალეთის იმპერიალისტებს მიუგდეს ჩვენი ქვეყანა საჯიჯგნელათ. ჩვენმა მშრომელმა ხალხმა იხსნა ის.

ეხლა ბოლშევიკებს განუზრახავთ მისი ჯიჯგნა—[illegible] რუსეთში, საჯიჯგნი უკვე შემოელიათ!

დღეს ჩვენმა მუშათა კლასმა უნდა შეუძახოს მათ: თუ მაშინ შევძელი ქვეყნის დაცვა, დღეს ამას კიდევ უფრო შევძლებო.

დღევანდელი დღე დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველთა პარადია.

ჩვენმა მუშათა კლასმა ნათლათ უნდა დაანახოს ყველას, თუ ვის ხელშია ჩვენი რესპუბლიკის დაცვის საქმე. ვაშა პირველ მაისს!

გაუმარჯოს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს იმის ურყევ დამცველებს—ჯარსა და გვარდიას!

ივ. გომართელი.

კომუნისტურ ჩრდილო კავკასიაში

(გაგრძელება)

პროლეტარიატი კატორღაში.

ამხანაგ მუშებმა იციან, რომ რუსეთში არის დიქტატურა პროლეტარიატისა, ან უკეთ, დიქტატურა კომუნისტური პარტიისა, ვინაიდან პროლეტარიატი და სახელდობრ მუშათ მხოლოდ ის ითვლება ვინც ამ პარტიაში შედის.

ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგი დაიწყო პროლეტარიატის ბატონობის, სოციალიზმის დამყარების სახით და [illegible], თვით პროლეტარიატი,—მუშათა კლასი, უნდა ყოფილიყო რუსეთში ცხოვრების ბატონ პატრონი, ის უნდა იყოს მბრძანებელი და, მაშასადამე, ყველა დანარჩენ კლასებზე უფრო თავისუფალი და უზრუნველყოფილი. ნამდვილათ კი, პროლეტარიატი არა თუ დარჩა ძველ პირობებში, პირიქით, ის [illegible], როგორც ორგანიზაციული ოჯახი მოიშალა, წარმოებას ის გაექცა, ვინაიდან ქარხანა და საერთოთ ქალაქი მისთვის ჯოჯოხეთათ გადაიქცა. ეს მოხდა იმისთვის, რომ ოქტომბრის გადატრიალება იყო არა მართლა პროლეტარიატის რევოლიუცია, არა მართლა დიქტატურა ამ კლასის, არამედ—ის იყო სალდათის რევოლიუცია მისი ხიშტის დიქტატურა. ბოლშევიკებმა გამოიყენეს ფრონტზე დაღლილი, დაქანცული და დამარცხებული ჯარის კაცი, რომელიც მიილტვოდა სახლში და ამ ლოზუნგით: „ზავი და სახლში წასვლა" მოახდინეს გადატრიალება, რუსის სალდათი გამოვიდა დიქტატორის როლში და მთელი ქვეყანა სისხლში ჩაძირა, ნანგრევებათ აქცია ის [illegible] წარმოებაც კი, რომელიც რუსეთს გააჩნდა.

ერთი მხრით კომუნისტების ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე მხრით მეფის გენერალთა თაოსნობით ეს ხიშტიანი სალდათი აგერ სამი წელია აწიოკებს რუსეთს, სისხლით ღებავს ყოველივეს, მიილტვის ის სახლში, მისი შეხედულებით იბრძვის ზავისთვის, მაგრამ ჯერ არ ეღირსა ზავი, ჯერაც ვერ მიაღწია მან სახლში!..

და აი, ამ სალდათის რევოლიუციაში გაისრისა მუშათა კლასი, ვინაიდან კომუნისტურმა ბიუროკრატიამ წარმოება მოშალა, ქალაქსა და სოფელს შორის ომი გაიჩაღა და რუსეთის პროლეტარიატს გაუხსნა ახალი ფრონტი, ფრონტი ლუკმა პურისა. გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ მუშების სიტყვები, თვით გაზეთ „პრავდიდან" იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან მუშები ლუკმა პურისთვის. და აი, ამ ბრძოლამ ქალაქსა და სოფელს შორის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა იძულებული გახდა მიეტოვებინა ქალაქი, [illegible] ქარხანას და დაბრუნებოდა სოფელს, თავის მამა პაპათა გუთანს, ხოლო მუშათა კლასის მეორე ნაწილი წავიდა წითელ ჯარში პურის საშოვნათ. დარჩა მუშების მცირე რიცხვი ქალაქებში, რომელთაც თვით ტროცკი „სპეკულიანტების ბანდას" უწოდებდა უკანასკნელ კომუნისტურ სიეზდზე, ვინაიდან ეს მუშები იძულებული არიან ტომრებით იარონ ქალაქების ირგვლივ, „პროდუქტები" [illegible], ან კიდევ მოსკოვში სუხარევკაზე გაყიდონ. გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ თვით მუშების სიტყვები, თუ როგორ ართმევენ ამ ტომრიან მუშებს „ზაგრადიტელნი ოტრიადები" თვით 10—15 გირვანქა პურსაც კი. ამგვარათ, სალდათის რევოლიუციამ ჩაითრია მუშათა კლასი თავის უფსკრულში და ის წარმოების განადგურებასთან ერთად მიწასთან დაანარცხა. მაგრამ დღეს თვით ამ რევოლიუციის მეთაურთა სიტყვით სამოქალაქო ომი უნდა გათავდეს. სალდათმა იბრძოლა სამი წლის განმავლობაში იმპერიალისტურ ფრონტზე. ლენინმა და ტროცკიმ ეს სალდათი სახლში გაშვების ლოზუნგით წამოიყვანეს შიდა რუსეთში და სამი წელიც აბრძოლეს ფრონტიდან მოტანილ ხიშტით, რის შედეგათ მიიღეს: წარმოების სრული განადგურება, ჯერ არ ნახული შიმშილი, არეულობა, უსუფთაობით გამოწვეული ეპიდემია და ამის საფუძველზე დამახასიათებელი ტიფი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთისათვის არის დღეს ერთი უდიდესი საკითხი.

[illegible] სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ბოლშევიკურ მთავრობას ახასიათებს ერთ თავის მოწოდებაში ასე: „ბოლშევიზმი, როგორც საერთაშორისო ომის შედეგი, არის დროებითი მოვლენა, ამისთვის ის იარსებებს მხოლოდ მანამ, სანამ მას ხელთ ხიშტი აქვს, სანამ სალდათი ყავს".

ეს თვით ბოლშევიკებსაც კარგათ ესმით. ხიშტით დამყარებული წყობილება მაშინ დაინგრევა, როცა ეს ხიშტი გამოეცლება, როცა სალდათი დაბრუნდება სახლში და ამას კარგათ გრძნობენ ბოლშევიკები, ამისთვისაც არის ლოზუნგი: „უნდა გავათავოთ სამოქალაქო ომი" თან სდევს ლოზუნგი „უნდა შევქმნათ ახალი ფრონტი". ხიშტით [illegible] კომუნისტებმა ძალა-უფლება, ხიშტით აწარმოებს სამოქალაქო ომი და გაანადგურეს რუსეთის საწარმოო ძალები და ეხლა ხიშტითვე ლამობენ რუსეთის წარმოების აღორძინებას, რუსეთის ცხოვრების აღდგენას. ბოლომდე ხიშტით, ბოლომდე ომით, როგორც დაიწყეს, ისე ათავებენ.

ლენინი კომუნისტურ გაზეთ „[illegible]" 15 თებერვლის ნომერში ათავსებდა წერილს ამ სათაურით „Коль война, такъ по военному" და ამ წერილში ის მოუწოდებდა ყველას ახალ ფრონტზე, ახალ უსისხლო ფრონტზე, [illegible] რუსეთი დაიღუპება, რუსეთი განადგურდება. იმპერიალისტური ფრონტიდან წამოიყვანეს ჯარისკაცი და ის სამი წელი ათრევს ქალაქებში და სოფლებში მხოლოდ იმისთვის, რომ მას სახლში წასვლა უნდოდა და ამას ტროცკი პირდებოდა, ეხლა კი სახლში წასვლისთვის მას ახალ ფრონტს უმზადებენ. ასე ძვირათ უჯდება რუსეთის ჯარისკაცს, ან როგორც თვით კომუნისტები ეძახიან „[illegible]" სახლში დაბრუნება.

და აი, კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო ახალი ფრონტი, „უსისხლო ფრონტი". ჯერ ეს სურდათ ჯარისკაცს და პროლეტარიატს თავის ნებით შეგნებით გაეკეთებინათ, ამისთვის კომუნისტურმა [illegible] „სუბოტნიკებს" [illegible] ყველას. [illegible] მაგრამ დამშეულმა მუშებმა და ექვსი წლით ბრძოლაში მოქანცულმა სალდათებმა ვერ მიაბეს ამ „სუბოტნიკებს". ამისთვის ხიშტით დაწყებული საქმე ხიშტითვე დაგვირგვინდა, სალდათის დიქტატურა მისივე დამონებით დასრულდა. მას ახალი ბატონ-ყმური უღელი დაადგეს, ხოლო ამ სალდათის რევოლიუციის პროცესში რუსეთის პროლეტარიატი გაითქვიფა, ის მდგომარეობამ დაუძლურა და დღეს ის კატორღაში გაგზავნეს, ა ეს ეწოდება ლენინის სიტყვით ბოლომდე დიქტატურა.

ჩვენს ხელთ არის კანონი, ან დეკრეტი ცენტრ. აღმ. კომიტეტისა შრომის არმიის შესახებ, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ წარმოების აღდგენისათვის, რუსეთის გადასარჩენათ საჭიროა შემოღება იძულებითი შრომისა, ხოლო ამ იძულებით შრომას უმთავრეს სადა შეასრულებს სალდათი, დღეს კი წითელი არმიელი, რომელსაც ეხლა თოფი გამოართვეს და მის ნაცვლათ ნიჩბით მაღაროებში გაგზავნეს. მარა რუსეთის გლეხი მოუმზადებელია საფაბრიკო წარმოებისთვის, ამისთვის არის საჭირო კვალიფიციური მუშა ხელი და აი ამ დეკრეტით სავალდებულოა ყოველი მუშისათვის გამოცხადდეს შრომის მობილიზაციაში და სადაც უბრძანებენ, იქ იმუშაოს. მუშა, რომელიც გაექცა ქალაქის შიმშილს, დატყვევებული მოჰყავთ სოფლიდან ისევ ქალაქში [illegible] ქარხნას. შრომის თავისუფლება დღევანდელ რუსეთის მთავრობისთვის ბურჟუაზიული ჭორია, ამაზე შეიძლება ლაპარაკი ძველ დროში, ხოლო ეხლა კი გლეხების და მუშების მთავრობის დროს ყოველმა მუშამ და გლეხმა უნდა შეასრულოს ამ მთავრობის ბრძანება.

მაგრამ იქნებ მართლა ეს სურვილია მთელი მუშათა კლასის, იქნებ ეს ლოზუნგი წამოაყენეს თვით მუშებმა? ჩვენ ხელთ კომუნისტური „პრავდის" ნომრები. მე მგონია ამ გაზეთში თვით [illegible], ან თუნდ აზერბეიჯანელი კომუნისტებიც ვერ შეიტანენ ეჭვს. და ვნახავთ, რომ რუსეთის მუშები ამ კანონს უწოდებენ „პროლეტარიატის კატორღაში გაგზავნას". ავიღოთ „პრავდის" არც თუ ისე ძველი ნომერი, 5 მარტიდან და იქ ვნახავთ ერთ მეტად საყურადღებო წერილს ვიღაც ლუნინისა. წერილს აქვს სათაური „Шкурная свобода", ე. ი. თავისუფლება საკუთარი ტყავის შესანარჩუნებლათ. მართალია, წერილის სათაური გვიჩვენებს, რომ კომუნისტები აქ ებრძვიან [illegible], მარა მათ სამწუხაროთ, აქ საქმე გვაქვს 2,000 მუშის მიტინგთან, რომელნიც შეკრებილან და მსჯელობენ შრომის არმიების სახით შემოღებულ მუშათა კატორღაზე. „პრავდა" სწერს: „რა ისტერიული კივილი არ იყო ამ კრებაზე, რა არ უწოდეს ამ კანონს, ათასჯერ უფრო ინკვიზიციური და მწარე, ვინემ იყო მეფის დროს, ათასჯერ უფრო ბატონყმური და [illegible], ვინემ ძველად". ამ სიტყვებს ამბობდნენ „პრავდის" გადმოცემით თვით მუშები, რომელნიც მობილიზაციით გაიწვიეს შრომის არმიაში. და ამ პროლეტარებს, რომელნიც სალდათის რევოლიუციამ სისხლში ჩაძირა, კომუნისტები უწოდებენ „ტუნეიადცებს", მუქთახორებს, მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი დამშეული, გაპარტახებულ და მკვდარ მოსკოვის ირგვლივ ტომრებით დადიან ლუკმაპურის საშოვნათ.

სალდათის რევოლიუცია თვით სალდათის დამონებით გათავდა და დღეს კომუნისტური რუსეთი, რომლის მეთაურმა ლენინმა სოციალიზმი [illegible] შემოიღო, ამავე სალდათის ხელით შეუდგა მაღაროების გაწმენდას, დანგრეულ გზების შეკეთებას, ქარხნების თითქო აშენებას, ერთი სიტყვით, მას უთხრეს: „ამხანაგო წითელო არმიელო, შენ დაანგრიე ყოველივე ეს ხიშტებით და ეხლა ინებე და ააშენეო". მარა ვინ არ იცის, რომ ეს წითელი არმიელი, რუსის გლეხი, უძლურია უპროლეტარიოთ, კვალიფიციური შრომის ხელის გარეშე შექმნას და აღადგინოს ხელახლა წარმოება და ლენინმა მოიკითხა მისი ექსპერიმენტებით დამარცხებული მუშათა კლასი, რომელიც სალდათმა გაქცეული აქცია და დღეს ის მობილიზაციით კატორღაში მიყავთ.

მეორე მხრით კი წითელი ჯარის მეორე ნაწილი მიდის რუსეთის გულიდან განაპირა კუთხეებისკენ, მას აქ ელოდება კიდევ დაუნგრეველი წარმოება, გაუპარტახებელი კუთხეები, ხოლო რაც უმთავრესია, [illegible], რომლის დამარცხებული ასკერი დღეს შეურიგდა სალდათის რევოლიუციის უმთავრეს ძალას—წითელ არმიას მაშინ.

და აი, ორი დამარცხებული ჩამორჩენილი ქვეყანა, რუსეთის სალდათური სული და ოსმალეთის აზიური [illegible] სალდათის და ასკერის ხიშტით, აქ ევროპის და აზიის გზაჯვარედინზე, სამი მხრიდან შემოერტყა საქართველოს მუშათა კლასს. იქ, შორეულ რუსეთში, ამ ძალამ ჩვენი ამხანაგები, რუსეთის პროლეტარიატი, კატორღის არტელებში გარეკა და ენა ჩაუკმინდა, ხოლო დღეს აქ კი, წითელი მაისის პირველ დღეებში რუსეთის მუშათა კლასის სისხლში გაწითლებული სალდათის და ასკერის ხიშტები დაემუქრებიან საქართველოს პროლეტარიატის მიწაზე დანარცხებას.

ამხანაგო მუშებო! დღეს პირველი მაისია, საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული. დღეს მთელი დედამიწის ზურგზე ჩვენი ამხანაგები გამოვლენ წითელი დროშებით, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია დღეს თავის ძალების აღლუმს მოახდენს და ჩვენც აქ დანგრეულ ყოფილ რუსეთის ერთ კუნძულზე წითელი დროშებით, ევროპის მუშათა კლასის დიად ლოზუნგებით დღეს უნდა [illegible] სისხლიან სიწითლეს ჩვენი პროლეტარული, ჩვენი სამაისო სიწითლე.

და ამ სიწითლემ, ამ პროლეტარულმა ლოზუნგებმა, ევროპის და აზიის გარდასავალზე, უნდა იხსნას მარქსიზმი სალდათის და ასკერის ხიშტისაგან.

(შემდეგი იქნება)

ამხანაგი.

დამფუძნებელი კრება

30 აპრილის საღამოს სხდომა.

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! მაქვს პატივი მთავრობის სახელით მოგახსენოთ შემდეგი: პოლიტიკური დროებები ჩვენს ირგვლივ კიდევ აირივნენ. სამხრეთ რუსეთის [illegible] ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის [illegible] მუქარათ ხდება. ის ჩვენ დაგვემუქრა ჯერ ჩრდილოეთით, გვიახლოვდება [illegible], ხოლო ახლა კარზე მოგვადგა აღმოსავლეთით—აზერბეიჯანის საზღვრიდან.

პირველი გარემოება ჩვენში არ იწვევს არავითარ შიშს,—[illegible] და [illegible] შეიძლებოდა. სულ სხვაა აზერბეიჯანის მიმართულებით, საიდანაც საზღვრები გაშლილია და ამიტომ მეც ამ მხრით მინდა მივაქციო დღეს თქვენი ყურადღება.

27 აპრილს აზერბეიჯანის მთავრობამ გვამცნო ბოლშევიკების ჯარი მოადგა ჩვენ საზღვრებსო, ჩვენი ჯარები მათ ებრძვიან და საზღვრის დაცვა [illegible]. მაშინვე შეიკრიბნენ მინისტრები და ჩვენ დავსვით ასეთი წინასწარი კითხვა: სურს აზერბეიჯანის ხალხს შეებრძოლოს ბოლშევიკებს და მიიღებენ ამ ბრძოლაში ისინი მთავარ სიმძიმეს? ამ შემთხვევაში ჩვენ მოვალე ვიქნებოდით დაგვეხმარა, მოვალე ვიქნებით არა მარტო ხელშეკრულების ძალით, არამედ,—პოლიტიკურად და მორალურადაც და მართლაც, ერის თვითგამორკვევა, მისი ნება-სურვილები ჩვენ მოგვეჩვენა ერთად ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ერთა დამოუკიდებლობისა და შეურყეველ საგარეო პოლიტიკისა. [illegible] ჩვენ ვთქვით: თუ გარეშე ძალა აზერბეიჯანის ერის თვითგამორკვევას ემუქრება, თუ ის მას საზღვრებში ძალით შემოიჭრება და არის აღმაშფოთებელი დარღვევა ერის უფლების და ჩვენც მასთან ვიბრძვით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხი [illegible] ძალის შემოყვანის, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გამოსვლა ერის უფლების შელახვა იქნებოდა ჩვენის მხრით და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დაღუპვაც. აი ეს ჩვენი აზრი დაუყონებლივ ვაცნობეთ ბაქოში და [illegible] იქაური პოლიტიკური ატმოსფეროს. მაგრამ სანამ პირველზე ჯერ მივიღეთ ცნობა, რომ ბოლშევიკები უკვე ხაჩმასში მოვიდნენ, ხოლო საღამოს შვიდ საათზე სადგურ სანგაჩალში. ბოლშ. ჯარის ახლო, ე. ი. [illegible] საათის განმავლობაში განვლეს ასი ვერსი. მაშინ კი გავიგეთ რაშიაც იყო საქმე და ვთქვით: ბოლშევიკები მიდიან სწრაფი მატარებლებით, სრულიად უბრძოლველად და მაშასადამე, აზერბეიჯანის თანხმობით მივიდნენ სრულიად უმნიშვნელო ძალებით, ორი ჯავშნიანი მატარებლით, მათი უკან [illegible] და მატარებლის დატყვევება მეორე ძალის შეეძლო, მაგრამ ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბოლშევიკების შესვლა უბრალო გასეირნებათ გადაიქცა.

ჩვენი ეჭვები, როგორც ხედავთ, საქმეებით გამართლდა.

რაზე იყო დაფუძნებული ჩვენი ეჭვები?

ის იყო დაფუძნებული ორ გარემოებაზე: ჩემი აზრით, ბოლშევიკური მოძრაობა არის უკან ჩამორჩენილი, პოლიტიკურად განუვითარებელი ხალხის მოძრაობა. იქ, სადაც არ არის დემოკრატია, დემოკრატიული ორგანოები, მაშასადამე, ხალხი თავის თავს არ მართავს, არ არის ჩაბმული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აი აქ ხალხი თავის მხსნელ და მართველს ძალას ხედავენ, გარედან მოელის, [illegible] მაგარი ხელით და მტკიცე ნებისყოფით. და თუ კიდევ ამას მივუმატებთ იმას, რომ აზერბეიჯანში რევოლიუციის არც ერთი დიდი მონაპოვარი არ განხორციელებულა, იქ ჯერაც არ ჩამოერთმევიათ ხანებისთვის მიწები და ძველი აგრარული ურთიერთობა სავსებით შენახულია, ადვილად წარმოსადგენია ხალხის უკმაყოფილება არსებული რეჟიმით და მისი სურვილი ამ რეჟიმის გამოცვლისა, თუნდაც ავანტიურაში გადავარდნით. აი ამ გარემოებამ მოამზადა სოციალური ნიადაგი აზერბეიჯანში ბოლშევიკური გადატრიალებისა. მაგრამ ამას ზედ დაერთო მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო მომენტი. ეს არის მომენტი ნაციონალური. და ამას აშკარად აღიარებს ბაქოს დღევანდელი მთავრობა თავის უკანასკნელ მოწოდებაში. ისინი აზერბეიჯანის წინანდელ მთავრობას აცხადებენ ერის მოღალატეთ იმიტომ, რომ მას კავშირი ჰქონდა ანტანტასთან, ხოლო ანტანტამ დაამარცხა ოსმალეთი, დაჰყო ის და, მაშასადამე, ბაქოს კომუნისტების თვალში ეს ანტანტა აზერბეიჯანის მტერიც არის, ხოლო ვინაიდან მოსკოვის ბოლშევიკებიც ანტანტის წინააღმდეგია, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იცნო ევროპამ, აქ შეერთდა ინტერესები მოსკოვ-ანგორისა და გაება ქსელი რუს კომუნისტების და ანატოლიის ნაციონალისტებს შორის.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აზერბეიჯანის კომუნისტურ გადატრიალებაში ეს ნაციონალური მომენტი თამაშობდა უდიდეს როლს. ეს ჩანს იქიდან, რომ მათ თავის მთავრობაში არ შეიყვანეს არც ერთი არა მუსულმანი და რომ მათ, ჩვენის ცნობით, განზრახული აქვთ პირველ ყოვლისა გადაუშვან სომხეთზე ანატოლიის ჯარებთან შესაერთებლად.

ამნაირად, ბაქოს ბოლშევიკური გადატრიალება მიმართულია პირველ ყოვლისა ევროპის სახელმწიფოთა ოსმალეთიდან გასაძევებლათ.

მეორდება ის, რაც მოხდა 1918 წ.

მაშინ რუსის ბოლშევიკებმა (ბრესტ-ლიტოვსკი) და შემდეგ მუსავატმა შემოიყვანეს ოსმალეთი აქ ამიერ კავკასიაში, ახლა მუსავატის როლს კისრულობენ აზერბეიჯანის კომუნისტები. მაგრამ უკანასკნელთ დაავიწყდათ ერთი რამ—მუსავატმა შემოიყვანა გამარჯვებული ოსმალეთი, ხოლო კომუნისტებს კი შემოჰყავთ დამარცხებული და დაშლილი ოსმალეთი და ისიც არა ოსმალეთის ნამდვილი მთავრობა, არამედ—[illegible] ნაციონალისტები. ასეთ პირობაში ბაქოს კომუნისტების თამაში წინდაწინ დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს და ვაი თუ ოსმალეთის [illegible] მაგიერ თვით აზერბეიჯანიც საფუძვლით დაღუპოს.

როგორც ხედავთ, აზერბეიჯანის ბედი დღეს შეერთებულია ბოლშევიკურ რუსეთთან და ქამალ ფაშის ოსმალეთთან. ეს კომუნისტურ-ფაშური ქორწილი [illegible] ბაქოს დღევანდელ მესვეურთ და მათთან ის თან ატარებს თავის დამარცხებას.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა ავანტიურაში ჩავარდა და უფსკრულისაკენ გაექანა. ამით ის ჩვენ

დღეს გამოვეთიშეთ, დავრჩით მარტო მაგრამ ბ-ბო, მარტოობა ჯოჯოხეთის არ ნიშნავს დაუძლურებას. პირიქით, მარტოთ დარჩენა ზოგჯერ ნიშნავს ძლიერებას. 1918 წ. ჩვენ გადავრჩით იმით, რომ აზერბეიჯანს დროზე გამოვეთიშეთ, ე. ი. მაშინ მარტოობამ გვიხსნა ოსმალეთის უღლისაგან და დღესაც იგივე, აზერბეიჯანისაგან გამოთიშვა, მისი ავანტიურის უარყოფა, ჩვენი საკუთარი გზის, საკუთარი პოლიტიკის შენარჩუნება და წარმოება გვიხსნის განსაცდელისაგან.

ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს ჩვენს აზერბეიჯანად გახდომას, ბოლშევიკურ-ოსმალურ იმპერიალიზმის საქართველოში გაბატონებას. აზერბეიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება—ეს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს სამუდამოთ დასამარებაა, ეს ევროპისაგან სამუდამოთ მოწყვეტაა და აზიის ფანატიკების ბრჭყალებში ჩავარდნაა.

ბოლშევიზმის ჩვენში შემოჭრა ნიშნავს უკან ჩამორჩენილი წყობილების მოწინავე ქვეყანაში შეჭრას, დემოკრატიის, ხალხის ბატონობის, ახალი ტირანიის გამეფებას.

ბოლშევიზმი აქ გააკეთებს იმას, რასაც რუსეთში შვრება — გააუქმებს ერობებს, ქალაქთა თვითმმართველობებს, თემებს, მოსპობს ყველა თვითმმართველ ორგანოებს—სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებას და მათ ალაგს განაწესებს ტერორისტების და წითელ არმიის ბატონობას. თავისუფალ შემოქმედების და მოძრაობის ადგილს დაიკავებს ხიშტი. ბოლშევიზმი გააუქმებს აგრარულ რეფორმას, მოსპობს მიწაზე კერძო საკუთრებას, რაც გამოიწვევს გლეხთა შორის შეტაკებას, სისხლის ღვრას და მით გახვევს მთელ ერს სამოქალაქო ომში. გარეკს დამფუძნებელ კრებას და მის ალაგას დაასკუპებს ხუთამდე კაცს, როგორც ეს დღეს მოსკოვშია და ის მოევლინება ერს ბატონადაც. ერთი სიტყვით, ბოლშევიზმი ამოაგდებს ქართველ ხალხს ხელს, ამოგლეჯს ენას, ყოველივე იმას, რაც მან შექმნა, რაშიაც გამოხატა მისი შემოქმედებითი პოლიტიკური ნიჭი. დაამპატრონებს ის უსულო გვამს და ბოლოს გადაუგდებს საჯიჯგნათ ან მოსკოვის რეაქციას, ან ოსმალეთის ფაშებს.

ბ-ბო, ჩვენ ამის არ ვიზამთ, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ჩვენ ვერ ვიქნებით ჩვენი ხალხის მოღალატე, ჩვენ ჩვენს სახელოვან პოსტზე მტკიცეთ, შეურყეველად დავრჩებით. ჩვენ მარტო არა ვართ, ჩვენთან არის მთელი ევროპა, განურჩევლათ პარტიისა და მიმართულებისა. ევროპა თუ აზია—დღეს ჩვენს წინაშე კონკრეტიულად სდგას ეს საკითხი, და ვიმეორებ, დღეს კიდევ უფრო მაღლა კიდევ უფრო მეტურათ ვიმეორებთ იმას, რაც 14 იანვარს აქ, ამ ტრიბუნიდან ვსთქვი—ჩვენ ვირჩევთ ევროპას, ევროპის დემოკრატიას.

ბ-ბო, მთავრობა უკვე შეუდგა თავის დაცვის მოწყობას. მან დაარსა საგანგებო თავდაცვის საბჭო, გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა სარდალი, დააყენა ადმინისტრაცია საქართველოს სამხედრო ფეხზე. გამოითხოვა თავდაცვის ფონდი, მიიღო ყოველნაირი წინასწარი ზომები. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის, ჩვენი ჯარი, ჩვენი გვარდია, მთელი ჩვენი დემოკრატია ჩვენთან არის. ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას, თუ რას ნიშნავს თავის დაცვა, დაცვა თავის საზღვრების, თავის წყობილების, თავის თავისუფლების. ბოლშევიკები ჩვეულნი არიან მსუბუქ გამარჯვებას; პირველათ აქ, ჩვენს საზღვრებზე გაიგებენ, თუ რას ნიშნავს მძიმე დამარცხება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი მათთან მოლაპარაკების, კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარების, მაგრამ ეს თუ არ მოისურვეს, თუ ჩვენ წმიდათა-წმიდას შეეხნენ, თუ ჩვენს საზღვრებს დაემუქრენ, მაშინ ქართველი დემოკრატია დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ მან იცის სახელმწიფოს არა მარტო აშენება, არამედ—მისი დაცვა. აქვს ნიჭი არა მარტო პოლიტიკური შემოქმედების, არამედ—უნარი ბრძოლისაც, მაშინ დადგება ის დრო, როცა გადაჭრით ვიტყვით: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი. (ოვაციები და მხურვალე ტაში).

ნ. ჟორდანიას სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს ყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა. მოიწონეს მთავრობის ნაბიჯები და აღუთქვეს სრული დახმარება. მიიღეს იქვე შესაფერი რეზოლუცია.

დამფუძნებელ კრების ვრცელ ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

30 აპრილი.

საგარეო ცნობები.

ოსმალეთში.

ოსმალები მთელ ხაზზე წინ იწევენ მათ გადმოლახეს მდ. ევფრატი, დაიკავეს ქალაქი ფოლქო. მრავალ ადგილას გარს შემოერტყნენ საფრანგეთის ჯარებს. ოსმალებს წინ უძღვით (?)... რომელმაც თავის შტაბი გადიტანა მაჰში, სადაც მას დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მცხოვრებთა აღწერა.

სამარა 27 აპრ. გუბ. შრომის კომიტ. მიერ მოწყობილი მცხოვრებთა აღწერა უკვე თავდება. აღწერის მნიშვნელობა ქალაქში მყოფ კვალიფიციური მუშათა და არა მშრომელ ელემენტთა რაოდენობის გარკვევა იმ მიზნით, რომ ვინც არაფერს აკეთებს სასარგებლო სამუშაოებზე გაიწვიონ. შესდგა საგანგებო კომისია, რომელიც არკვევს გაწვეულთა შრომისათვის ვარგისობას.

ფრანგული ცნობები.

სპარსეთის შაჰი

სპარსეთის შაჰი საგანგებო მატარებლით პარიზიდან გაემგზავრა მარსელში, შემდეგ ის საზღვაო გზით სპარსეთში გაემგზავრება. რესპუბლიკის პრეზიდენტთან მისი შეხვედრა ძლიერ გულმხურვალე იყო.

რურის გარშემო.

„პტი პარიზიენის“ ცნობით გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ მილერანს განცხადება გაუკეთა იმის შესახებ, რომ რურში გერმანიის ჯარის რიცხვი 185 000 არ აღემატება, და თავის მხრით განაცხადა იმედი, რომ საფრანგეთის ჯარი ფრანკფურტის ევაკუაციას მოახდენს.

სან რემოს კონფერენციის შემდეგ.

ლოიდ ჯორჯი ლონდონში ოთხშაბათს საღამოს დაბრუნდება. „პელ-მელის“ ცნობით, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: სან რემოს კონფერენციამ დაასრულა მთელი რიგი ისტორიული ხასიათის თათბირებისა. ადვილი შესაძლებელია აუცილებელი შეიქმნას, რომ დელეგატები ისევ შეიკრიბონ საზავო ხელშეკრულების აღსრულების საკითხის გამო.

ბონარ ლოუმ ოთხშაბათს თემთა პალატაში განაცხადა: ხუთშაბათს ლოიდ ჯორჯი განცხადებას გააკეთებს იმ ნოტის შესახებ, რომელიც მოკავშირეებმა გერმანიის მთავრობას ჩააბარეს.

ნიტტი რომში 28-ს დილით დაბრუნდა. დღით ის დიდხანს ესაუბრა მეფეს, საღამოს კი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობდა. ოფიციალური წრეები სან-რემოს კონფერენციით კმაყოფილებას აცხადებენ ნიტტიმ პალატაში თავის განცხადებები შეიტანა.

იტალიური ცნობები

ჯარის რეორგანიზაცია.

იტალიის ჯარის რეორგანიზაციის შესახებ, ეხლახან გამოქვეყნებულ დეკრეტის თანახმად სამხედრო სამსახურის ვადა ისაზღვრება 8 თვით. სამხ. სამსახურის ვადის 3 თვის შემოკლების უფლება ეძლევა ოჯახური მდგომარეობით და იმ პირთ, რომელთაც ძმა ომში მოუკვდათ, ან დასახიჩრებულთა თავშესაფარში იმყოფება. კატეგორიები გააუქმეს.

ყველა ისინი, ვინც აიაშია, მოვალენი არიან სამსახური აღასრულონ. ნაკლებ შეძლებულნი სამსახურს მოიხდიან ადგილობრივ ჯარში. მოხალისეთა 5 წლის სამსახური უქმდება: დაწესებულია 8 წლიანი სამსახური. 5 წლის ვადა რჩება მათთვის, ვინც სამსახური უკვე დაიწყო.

მასწავლებელთა ყველა ორგანიზაციებს

სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს აღმასრულებელი ბიუროსაგან)

სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს მოსვლის მოწვეული დეპეშები და წერილები მასწავლებელთა ორგანიზაციებიდან, რომლებიც აღწერენ რა მასწავლებელთა აუტანელ ნივთიერ მდგომარეობას, კატეგორიულად მოითხოვენ ჯამაგირების 100 პროც.-ით გადიდებას და ვადას 15 მაისამდე ნიშნავენ. ამ საკითხის განსახილველად საგანგებოდ [illegible]. საბჭომ გაუწია რა ანგარიში უკანასკნელ დღეებში შექმნილ მდგომარეობას, ვერ სცნო შესაძლებლად ასეთ მომენტში რაიმე კატეგორიული ხასიათის მოთხოვნილების წარდგენა მთავრობისადმი და დაადგინა: ეცნობოს განათლების მინისტრს მასწავლებელთა მდგომარეობა და სთხოვს, რათა დაჩქარებით მიიღოს ყოველივე ზომები მასწავლებელთა გაჭირვების შესამსუბუქებლად. ეცნობოს რა ამას მასწავლებელთა საყურადღებოთ, სრული იმედის გამოთქმით, რომ მიუხედავად უზომო გაჭირვებისა, ამხანაგები ანგარიშს გაუწევენ მომენტს და თავს შეიკავებენ იმ იმედით, რომ დემოკრატიული მთავრობაც ჩვენს მდგომარეობას უყურადღებოთ არ დასტოვებს.

ბიურო.

წითელი ტალღები

დაგუგუნდა გულში მრისხანე ძალა:
ფოლადის ძგერა, ლითონის გლუვა...
პირქუშ ქუჩებში გადმოიშალა
წითელ ტალღის მედგარი ღელვა.

და მოდის იგი... მიდიან ხმათა
ისმის სიმღერა ჰანგ-შეწყობილი;
ცემცემებს დროშა, ალმტაცი ცათა,
რისხვის და ტანჯვის ზღვაში შობილი!

შორეულ დღეთა უცხო ხატები
მოაფრქვევს აწმყოს შავ ბნელ სამოსავს;
ფიქრი მტანჯველი გაიფანტება,
აანთებს რწმენა სულის სალოცავს.

და ღელავს ტალღა სხივ-მოფრქვეული,
ბობოქრობს წითლად ზღვა ზვირთ მჩქეფარე...
სადღაა ზღუდე ხავს მახვეული?
შორეთო სულო, სად მიფრინავ?..

ჩვენ მივალთ წინ, წინ! მედგარ ძახილით
ვუყვებით ბრძოლის მრისხანე ღმერთებს!
და თუ დავიწვით რწმენის სახმილით—
შორეულ დღეთა მზე შეგვეგებებს!

ვერ მოთავსდება რკინის სალტეებში
საშველისწყურო, მძლე ქარიშხალი;
ძლევის ხმა ჰქუის, გრგვინავს ტალღებში
და წითლად ჰფეთქავს გარდაქმნის ალი!..

დაგუგუნდა გულში მრისხანე ძალა:
ლითონის გლუვა, ფოლადის ძგერა;
მომავლის სიომ ააწკრიალა
წითელ ტალღებში ბრძოლის სიმღერა!

ობოლი მუშა.

ახალი ამბები

მობილიზაცია თფილისში. გუშინ 30 აპრილს დაიწყო თფილისში მობილიზაცია 1888, 1889, 1894 და 1895 წ.წ. დაბადებულ ახალგაზრდათა. სამხედრო საკრებულოში დიდძალი ახალგაზრდობა გამოცხადდა. ბევრი ჯარში გასაწვევი უკან დაბრუნდა, რადგანაც ყველას მიღება გუშინ ვერ მოახერხეს. როგორც ეტყობა, შემოწმება—მიღება 2—3 დღეს გაგრძელდება. ახალგაზრდები ხალისით ეწერებიან, სრულიად განწყობილება საუცხოვოა. ბევრი გასინჯვაზე უარს აცხადებს და გაუსინჯავათ ეწერება

◆ **მუშათა სახლი.** 29 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: ჩამოერთვას არამიანცს შრომის სამინისტროის საკუთრებათ მუშათა სასახლისათვის სახლი, მდებარე რუსთაველის პროსპექტზე—2,950,000 მან. საფასურის გადახდით.

◆ **ბაქოდან მოსული ცნობით** ახალ მთავრობას დაუპატიმრებია ადმინისტრაციისა და სასამართლოს ზოგიერთი წარმომადგენლები.

◆ **სამხედრო ცენზორი.** მთავარ სამხედრო ცენზორათ დაინიშნა გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი.

◆ **მუშათა საბჭოს სხდომა.** კვირას, საღამოს 7 ს., სახალხო სახლში შესდგება მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა, სადაც მოხსენებას გააკეთებენ: ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი, გრ. მახარაძე, ვლ. ჯუღელი და ლეო რუხაძე.

◆ **ჯარის ფონდი.** საგარეჯოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისაგან მიიღო 700 მ., ფოთის სატყეო მოსამსახურეთა შორის შეგროვილი (ევნე თალაკვაძის ხელით) 1150 მ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, შაბათს 1 მაისს დღესასწაულის გამო ლექციები არ შედგება; კვირას, 2 მაისს წაიკითხავენ ლექციებს:

მესამე განყოფილებაში (ჩუღურეთში) 1) კოტეტიშვილი ვახ.—სოციოლოგია; 2) ტყეშელაძე აკ.—მეცნიერება სახელმწიფოზე;

მეოთხე განყოფილებაში (წმ. ნინოს ქუჩ.) ბ. ლოლიძე საქართველოს ისტორია.

ორშაბათს 3 მაისს მეორე განყოფილებაში (ავლაბარში) 1) კოტეტიშვილი ვახ.—სოციოლოგია; 2) ს. მესხი—სამშობლოს აღწერა.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოება.** „ფიდამამ“ დაიკავა ოთხი ქალაქის გამგეობის შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებისა. 1 მაისს კინო-პალასში 2 ფუნტი სვანის მიცემის შესახებ ბავშვებისათვის 2—4 საათამდე.

◆ **„ქრისტინე“ ლენტზე,** ვერის მუშათა კლუბში ორშაბათს, 3 მაისს, საღ. 6 ს. ვერის მუშათა კლუბში, ლენტზე ნაჩვენები იქნება ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, გვარდიის დღე, 26 მაისი და დამფუძნებელი კრების გახსნა. ფასები სახალხოა.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი,** მოუწოდებს პარტიის წევრებს, დღეს დილის 8 საათზე, შეიკრიბონ რაიონის ბინაზე, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **მე-6 რაიონული კოლექტივი** საქარ. ს. დ. მ. პ. აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ ის წევრები, რომლებიც არ განაახლებენ ძველ საწევრო ბარათებს ახალზე ამა წლის 1 ივნისამდე, ასეთნი პარტიიდან გამორიცხულათ ჩაითვლებიან 1 ივნისიდან.

◆ **პურის ნამცეცებს** ფრინველების საკვებად და პირუტყვისათვის ჰყიდის ქალაქის სასურსათო გამგეობა ფუთს 80 მანეთად.

◆ **მატარებლების მიმოსვლის შეცვლის** გამო ეს ორი დღეა პროვინციაში გაზეთები მეორე დღეს იგზავნება. ამ ნაირათ პროვინციელი მკითხველები გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მესამე დღეს, რაც ძლიერ არასასურველია მით უმეტეს დღევანდელ გართულებულ პირობებში. საღამოს მატარებელი № 7, რომელიც თფილისიდან გადის 8 საათზე, რომ გადიოდეს თორმეტის ნახევარზე გაზეთები ყველგან იმავე ღამეს გაიგზავნება და პროვინცია მიიღებს მეორე დილით.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, 1 მაისს, დაიხურება საოპერო სეზონი. დილით მუშებისთვის ოპერა „კოტე და ქეთო“.

კრებები.

კვირას, 2 მაისს დილის 11 ს. დაინიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ გამოცხადდნენ უფრო ადრე.

— კვირას, 2 მაისს, დილის 11 ს. [illegible] აუდიტორიაში ([illegible]) მე 6 რაიონული კოლექტივი იწვევს ამავე რაიონის საქ. სოც. დემ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრებას, სადაც ცენტრალურ კომიტეტის წევრი გააკეთებს მოხსენებას მიმდინარე პარტიულ ყრილობაზე გასარჩევ საკითხების შესახებ.

პროვინციის ქრონიკა

ბორჯომში შაბათს, 1 მაისს, რკინის გზის თეატრში კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების სცენის მოყვარეთა წრის მიერ 1 მაისის აღსანიშნავად გამართება დიდი საღამო. 1 მაისის მნიშვნელობაზე სიტყვას წარმოთქვამს დამფუძნებელი კრების წევრი. შემდეგ წარმოდგენილ იქნება „სიძე-სიმამრი“ და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. წარმოდგენის შემდეგ—გაზმემი, ცეკვა და ამერიკული აუქციონი. დასაწყისი საღ. 7 ს.

თავდაცვისათვის

ხაშური. 29 აპრილს, შესდგა ხაშურის ს. დ. პარტიის ორივე „ორგანიზაციის“ შეერთებული კრება. დაესწრო 160 წევრი. მოისმინეს რა მოხსენება ს. ზაბლიძისა და ან. ბიბილეიშვილისა, ბოლშევიკების იმპერიალისტური გამოლაშქრების შესახებ ამიერ-კავკასიაზე, ერთხმად დაადგინეს: მზად ვართ პირველ დაძახებისთანავე მხარში ამოვუდგეთ ჩვენს მთავრობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ.

თფილისი. 29 აპრილს [illegible] ტრამვაის სახელოსნოს ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის მცირე კოლექტივის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერთხმად ამხ. თევზაძე. მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. თევზაძემ დღევანდელ მომენტზე. მოხსენების შემდეგ იყო სხვა და სხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. დასასრულ კრებამ მიიღო ერთხმად შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვ. თევზაძისა დღევანდელ მომენტზე, იწონებს მთავრობის მიერ სწორად გადადგმულ ნაბიჯებს ხალხის და თავისუფლების დასაცავად. ჩვენი პარტია ენერგიულ ზომებს მიიღებს, როგორც ერთი კაცი, ყველა ერთად, საზღვრების დაცვაში და „შურგის“ გამარჯვებაში.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს. „თავისუფლებამ ხალხმა თქვენ მოგანდოთ მძიმე საქმე რესპუბლიკის თავდაცვისა და სამხედრო ხელმძღვანელობა. ამ წმინდა საქმეში მთელი ხალხი თქვენთან არის, თქვენს ირგვლივ იკრიბება. სახალხო გვარდიის უკვე ესმის თქვენი საბრძოლო ბუკის იმედიანი ჟღერა და მთელი სახალხო გვარდია თოფის ქვეშ დგება. სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია აღტაცებით გეგებებათ თქვენ და წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას“.

დაახლოებით ამ შინაარსის დეპეშა გაუგზავნა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, დამფუძნებელ კრებას და მთავრობის თავმჯდომარესაც.

— —

თფილისის პროფესიონალ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა 29 აპრ. სხდომაზე იქონია რა მსჯელობა თავდაცვის საკითხის შესახებ, დაადგინა: შესდგეს მუშებისაგან რაზმი რუსეთ-ოსმალეთის გაერთიანებული იმპერიალისტური თავდასხმის მოსაგერიებლად. სეკრეტარიატს ეს საკითხი გადააქვს პროფესიონალური კავშირების საბჭოს კრებაზე, სადაც ის მიიღებს საბოლოო სანქციას.

———

თიანეთში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიების და დემოკრატიულ ორგანიზაციების შეერთებულმა კრებამ ერთხმად დაადგინა მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს და მთელი მაზრის სასიცოცხლო ძალები გადასცეს მთავრობის განკარგულებაში.

———

თფილისი. 29 აპრილს, თფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო სხვათა შორის შემდეგი დადგენილებანი: მობილიზაციის კარგად ჩასატარებლად მაზრა დაიყოს ოთხ რაიონად, რომლებშიაც გაემგზავრებიან გამგეობის წევრები და საგანგებო რწმუნებულები ერობისა. ესენი დაივლიან თემების უმთავრეს ცენტრებს და დიდ სოფლებს, რომ ადგილობრივ გაუწიონ საერთო ხელმძღვანელობა მობილიზაციის ჩატარების საქმეში. მოახდენენ აგრეთვე ყრილობებს, რომლებზედაც გამოვლენ ხალხის წინაშე მოხსენებებით სამშობლოს კარზე მომდგარ საფრთხის შესახებ. გამგეობის წევრები დაჰყოფენ რაიონებში 4—5 დღეს, ხოლო საგანგებო რწმუნებულები რჩებიან მობილიზაციის გათავებამდე.

მაზრიდან უკვე ცხადდებიან მობილიზაციით გაწვეული ჯარის კაცნი თბილისში სამხედრო აღრიცხვის უფროსთან. აქ უკვე მოქმედობს ერობის მიმღები კომისია. გარდა ამისა, სამხედრო აღრიცხვის სამეურნეო ნაწილთან დანიშნულია ერობიდან დროებით ხმოსანთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი კ. ქუფუნია, რომელსაც დავალებული აქვს დაეხმაროს ზედამხედველს ჯარის კაცთა გამოკვების საქმეში და ჰქონდეს ამ საქმისადმი ჯეროვანი ყურადღება.

გორის ერობამ აგრეთვე მიმართა მოწოდებით მაზრის მცხოვრებთ დადგნენ ფეხზე სამშობლოს დასაცავად თათრულ ბოლშევიკური საფრთხის მოსაგერიებლად. ეს და მთავრობის თავმჯდომარის მოწოდებები გავრცელდა მაზრაში რამდენიმე ათასობით.

თფილისის პროლეტარიატს

(ხ. ანაპიდან)

თავისუფალი სამშობლოს მოქალაქენო, მისი ბედის მჭედელნო!

პროვინციის ამხანაგები მოგესალმებით და გილოცავთ დღევანდელ დღეს, გილოცავთ 1 მაისს, საერთაშორისო დღესასწაულს.

ამხანაგებო! დღევანდელმა დღემ ევროპის მშრომელ ხალხთან დაგვაახლოვა და გაგვაერთიანა.

ჩვენი ხმა მათ ხმას შეუერთდა, მათ ვიწყეთ საერთაშორისო ჰანგის ზიდვა თავისუფლების სამეფოში შესახვედრად.

ბურჟუაზიული წყობილების ნიშანდობლივი თვისება იმაში გამოიხატებოდა, რომ რაც შეეძლებოდათ ხალხი სახელმწიფო საქმეების გარეშე ყოფილიყო, მისი ბედი სხვას გადეწყვიტა. დღეს ეს ასე არ არის, დღეს ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია! პირველმა მაისმა მუშები გამოათავისუფლა, იმედის სხივი შთაბერა და მათ აზროვნებას ფართო ასპარეზი გაუხსნა.

1 მაისმა აღგვისრულა სანუკვარი ზრახვანი, სინამდვილეთ გვექცია ოცნება!

ჩვენ, ამხანაგებო, ღირსეულად უნდა ვიდღესასწაულოთ ეს სათაყვანებელი დღე!

ჩვენო მოწინავე მეთაურნო და ბელადნო! პროვინციის ამხანაგები შეძლებისდაგვარად, ადგილობრივად ვდღესასწაულობთ თქვენთან ერთად საერთაშორისო დღესასწაულს—პირველ მაისს და ვაგზავნით ხელიხელ ჩაკიდებულნი ამხანაგურ სალამს.

გაუმარჯოს პირველ მაისს.

ვ. ხარხელი.

ორმაგი დღესასწაული

დღეს მსოფლიო პროლეტარიატი დღესასწაულობს 1-ლ მაისს. მას უერთებს თავის გმირულ ხმას თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის პროლეტარიატიც. საქართველოს სახაზინო რკინის გზების პროლეტარიატისათვის კი ამ დღეს ორმაგი დღესასწაულია—ნაძალადევში რკინის გზის პროლეტარიატი ამ დღეს ხსნის პლეხანოვის სახელობაზე აგებულ მუშათა კლუბს.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ 1917 წელს მოეფინა მუშების ნესტიან სარდაფებს თავისუფლების მზის სხივები—ყველა ხარობდა—[illegible] ლობდა დამტკბარი [illegible] შრომის შედეგი—[illegible] მუშებისთვის ქმნისაკენ—მიელტვოდა თავისუფლების განთიადი—მოეგონათ განვლილი ტანჯვა—ვაება და ეზრუნათ მომავალ კეთილდღეობისათვის... ხარობდნენ უმაგალითო გამარჯვებით, აქვე დაიბადა აზრი, აეშენებინა სახალხო სახლი, სადაც მშრომელ ხალხს თავისუფლად შეეძლება შეკრება და თავის პროგრამაზე მოლაპარაკება... სამწუხაროდ, საქართველოს მუშათა კლასი მოკლებული იყო აქამდის ასეთ ბედნიერებას. საქართველოს მუშათა კლასმა გამოიჩინა შეგნება—ისტორიულ მოვლენებს სწორი ანალიზი გაუკეთა—მან უარყო მოძმე რუსეთის პროლეტარიატის ნერგვა-აწყობის—სამოქალაქო ომის გზა, საქართველოს პროლეტარიატი შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას.

სახალხო სახლის აშენების საკითხი პირველად დაისვა მთავარ სახელოსნოების აღმასრულებელი კომიტეტის და პირველ რაიონულ კოლექტივის შეერთებულ სხდომაზე 1917 წ. მაისის გასულს. შემდეგ ამისა, მოხდა მეორე კრება ყველა რაიონში არსებულ მუშათა ორგანიზაციებისა. მთავარ სახელ. აღმასრულ. კომიტეტის, დეპოს, სადგურ თფილისის, სამმართველოს, კოლექტივის და სამოქალაქო კომიტეტის. ამ კრებაზე კრინტიც არ დაუძრავთ—თუ რომელ წყაროებიდან უნდა აეშენებინათ სახალხო სახლი, ვინ შეგვიდგენს შენობის გეგმას, ვინ დაგვეხმარება. ყველა გადაძახოდნენ: ჩვენ შრომის შვილებმა უნდა დავუმტკიცოთ ბურჟუაზიას, რომ ჩვენ შეგვიძლია—როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი აღმშენებლობითი მუშაობა—კრებამ აირჩია სამშენებლო კომისია, რომელსაც გადეცა სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვილი ოცდა შვიდი ათასი მან!!! ამ თანხით შეუდგა კომისია სახლის შენების თადარიგს! შენობა პირველ დაწყებისას მეტად პატარა და უმნიშვნელო იყო. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ჩვენი კომისია დღე და დღე უმატებდა შენობას სიგრძე-სიგანეს—ამ გვარათ ჩაეყარა საძირკველი ნაძალადევის სახალხო სახლს, რომელიც კოხტათ და მედიდურათ გადაჰყურებს რევოლუციის ბუდეს...

დიდება და სახელი იმ მუშებს, რომლებმაც უჩვენეს მაგალითი დანარჩენ მუშებს, რომ პროლეტარიატს შეუძლიან თავის ხელში აიღოს კულტურული საქმე და კარგადაც შეასრულოს—მოახლოვებულია ის დრო, როდესაც მუშათა კლასი გამოგლეჯს ბურჟუაზიას ბრჭყალებიდან სწავლა-განათლების საქმეს. თავის ბედნიერ ბედის გამოსახატავათ ნაძალადევის სახალხო სახლი 27000 მან. დაწყებული, დღეს მილიონებად არის შეფასებული: დღეს, 1-ლ მაისს, იხსნება ნაძალადევის სახალხო სახლი და მასთან ერთად იდღესასწაულებს თავისუფალი საქ. რესპუბლიკის პროლეტარიატი.

ნაძალადევის სახალხო სახლი უნდა გადაიქცეს პროლეტარულ უნივერსიტეტათ. ამ გზით მივდივართ.

ასეც მოხდება.

მიხა ძ. მანაშვილი.

1 მაისი.

(სახალხო გვარდიელის მოგონება)

წინეთ, ნიკოლოზის შავ დროში, ჩუმათ, მალულად ვუტრფოდით ამ დიდებულ დღეს და ვნატრობდით იმ ბედნიერ დროს, როცა თავისუფლად შეგვეძლებოდა 1 მაისის დღესასწაული.

ამ დიდებულ დროსაც მოვესწარით. 1917 წ. თებერვლის მიწურულში რუსეთის დიდმა რევოლუციამ სანატრელი თავისუფლება მოგვანიჭა, რომელიც სრულიად შეინარჩუნა საქართველოს დემოკრატიამ და პროლეტარიატმა.

საქართველო დღეს მეორეთ ეგებება პირველ მაისს, თავის დამოუკიდებლობის შემდეგ. საქართველოს პროლეტარიატი და მთელი დემოკრატია ულოცავს დღევანდელ ბრწყინვალე დღეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს. ჩვენი თავისუფალი ქვეყნის ფარგლებში დღეს ყველა მუშა იდღესასწაულებს შეუფერხებლათ, იდღესასწაულებენ არა მარტო მშვიდობიანათ მცხოვრები მუშები, არამედ—ის მუშებიც, რომელნიც იარაღით ხელში ჩვენი ქვეყნის დასაცავათ საზღვრებზე სდგანან.

აქ მე მინდა მოვიგონო შარშანდელი პირველი მაისი.

როდესაც შარშან ამ დროს შავი დენიკინის ლაშქარი ჩვენს თავისუფლებას წალეკვას უქადდა, მაშინ გვარდიელები პილენკაში დარაჯობდნენ და მტერს პირდაპირ უდგნენ,—როგორც წელს. დილის 4 საათიდან საღამოს 8 საათამდე მეც, ამ სტრიქონების დამწერი, სხვათა შორის, ვიარე სანგრებით მტრის მიერ განადგურებულ სოფლებში. დიდი და პატარა, ვინც კი გადარჩა „მოხალისეთა“ ლაშქარს, ყველანი გვილოცავდნენ

1 მაისს (თვითონ კი ანგარიშობდნენ ძველი სტილით 18 აპრილს). ჩვენც თითქოს და ვაზნებზან ერთ და მორთული ფიცრით ვარდ ყვავილებით და ამწვანებით პავილიონზე, რომლიდანაც შეიძლებოდა, პირველი მაისის დღესასწაულით.

ასე წელსაც მაგრამ ჩვენ მაინც მაგრათ ვართ და გამარჯვებულნი მუშები ვუდღესასწაულებ ქვეყნის მშრომელთა პირველ მაისს.

გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

მუშა ხვანი.

მოწოდება

რესპუბლიკის დაბა-ქალაქებში შემდგარია კომიტეტები შემოწირულებათა შესაგროვებლად, მაგრამ მრავალნაირი შემოწირულება არ იგზავნება დანიშნულებისამებრ.

კომიტეტს არ მოსდის ცნობა შემოწირულებათაგან და არც შეუძლია თვითონ მოიკითხოს ყველა შემოწირულებანი.

ამიტომ კომიტეტი სთხოვს ყველა საერობო თემებს, ქალაქთა თვითმართველობებს და სხვადასხვა საზოგადოებებს, ცნობოთ ანკეტის სახით მთავრობის საგანგებო კომიტეტს შემდეგი:

1) სწარმოებს ადგილობრივ დამხმარე კომიტეტი თუ არა.
2) რა შეგროვდა.
3) იქნა გაგზავნილი თუ არა.
4) როდის, რა და ვის სახელზე.

ხოლო ამიერიდან ყველა შემოწირულებანი ნივთები და სურსათი უნდა იგზავნებოდეს დაუყოვნებლივ რწმუნებულ ქ. ზანდუკელის სახელზე (ანასტასიევის ქ. № 13) თფილისში, ფული კი ექ. გომართელისა (ანასტასიევის ქ. № 21.)

მთავრობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე **რ. არსენიძე.**

ბათომი

საქართველოს მთავრობის განკარგულებით დატუსაღებულ იქნა 10 „პოგრომჩიკი;" რომლებსაც ბრალად ედებათ კინტრიშის ხიდის აფეთქებაში მონაწილეობის მიღება. ერთი ამათგანი კუზნეცოვი, აფეთქების დროს მცველათ იდგა აღნიშნულ ხიდზე, რომელიც აფეთქებისთანავე მიიმალა. აღნიშნული კუზნეცოვი დატუსაღებულ იქნა სად. სამტრედიაში. მას თან აღმოაჩნდა ფული 47,000 მ. გამოძიება გრძელდება.

ადგილობრივ ჩიდი 25 აპრილს დაათვალიერა ყოფილმა გუბერნატორმა ქიქ-კოლისმა, რომელმაც გასცა განკარგულება, რათა ადგილობრივი მთავრობა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ბორჯომ-მიქმლელის აღმოჩენაში.

უცხოეთი

ოსმალეთი.

საზავო ხელშეკრულებისათვის. 26 აპრილს უმაღლესმა სამეფო საბჭომ მიიღო დადგენილება სამეფო ფლოტის შესახებ, რომლითაც საგრძნობლათ შემცირებული იქნება საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოსმალეთის ხარჯები.

მოკავშირე სახელმწიფოებმა მიიღეს დადგენილება ოსმალეთის რეორგანიზაციის შესახებ. იტალია, საფრანგეთი და ინგლისი ერთგვარი ეკონომიური უფლებებით ისარგებლებენ. იტალიას დაეთმო საექსპლოატაციოთ ყოფილი ბაგრამიტის უბნიდან ვიდრე არუმ-კარახ-ისარამდე. იტალიის მიეკუთვნება აგრეთვე ჰერაკლეის ნახშირის მადნეები.

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარეთ პარიზში გასაგზავნათ მთავრობამ დანიშნა ტევფიკ ფაშა.

საბერძნეთი.

საბერძნეთი და გერმანია. საბერძნეთის მთავრობამ აცნობა თავის ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლებს და კონსულებს, რომ ამიერიდან აღდგენილია დიპლომატიური დამოკიდებულება გერმანიასთან.

ინგლისი.

საზავო კონფერენცია და გერმანია. ლოიდ ჯორჯმა გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სან-რემოს კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერება ეტყობა მოკავშირე სახელმწიფოებმა შესაძლებლათ სცნეს უშუალოთ აწარმოონ მოლაპარაკება გერმანიასთან. ამ მიზნით სპაში მოვა გერმანიის კანცლერი, რომელსაც იგივე უფლებები ექნება, როგორიც სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს.

სომხეთი.

სასურსათო ბარათები. სომხეთის მზრუნველობის სამინისტრომ შემოიღო სასურსათო ბარათები. ფქვილი სასურსათო დახმარებას სომხეთში იღებს 350,000 სული, ფულით 245,000 სული. ბარათები გაეგზავნა ამერიკის წარმომადგენლებს პოლკოვნიკ ტილფორდს, რათა მათ იხელმძღვანელონ სურსათის დარიგების დროს.

პროფესიონალური კავშირებში

სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირში.

(მოწოდება კავშირის წევრებისადმი)

ამხანაგებო! ომისაგან განადგურებული მეურნეობა დღითიდან დღეზე ამძაფრებს მუშათა კლასის გაჭირვებულ მდგომარეობას და არავითარი ჯამაგირის მიმატებას არ ძალუძს მისი შემსუბუქება. ამ დროს არიან ისეთი პირნი, რომლებიც სარგებლობენ სხვისი უბედურებით. ომიანობის დროს ისინი ყვლეფდნენ ხაზინას იჯარებით, ომიანობის შემდეგ, მეურნეობის განადგურების დროს, ისინი ისქელებენ ჯიბეებს პირველ საჭიროების საგნების ნაკლულოვანობით.

დღეს ყიდულობს 50 ათ, ხვალ გაყიდის 500 მან. სპეკულიაცია აძლიერებს საერთო განადგურებას და უფრო და უფრო გაჭირვებულ, აუტანელ მდგომარეობაში აგდებს მუშათა კლასს.

თქვენ თვალ წინ ხდება ეს თავსმოუხვეველი დამხრჩვველი ფასების ზრდა და თქვენ არ გეძლევათ უფლება საქონელზედ ფასები დაადოთ და იძულებული ხართ გაყიდოთ იგი დამქირავებლების მიერ დანიშნულ ფასებში.

მაგრამ თქვენ მარტო მსახურნი არა ხართ, თქვენ პროფესიონალური კავშირის წევრები ხართ და შეადგენთ პროლეტარიატთან ერთ ოჯახს. ეს გაძლევს თქვენ პირნათლად შეასრულოთ ჩვენი ვალდებულება მუშათა და მოქალაქეთა წინ. გადაჭარბებულად ფასის საგნებზედ აწევას, ნახირის დამალვას, წონაში დაკლებას, საქონლის გაფუჭებას ან მისი ფალსიფიკაციას და ყველა ამის გვარ მოქმედებას, რომელსაც თქვენი დამქირავებლები ჩადიან, აცნობეთ თქვენ პროფესიონალურ კავშირს შესაფერი ზომების მისაღებათ, მათ ასალაგმავათ. თქვენ მიერ შეუწყნარებლობა ამ გვარ საქმეებში, დახმარება გაუწიოთ დამქირავებლებს. და თუ ამნაირი პირები კავშირის წევრებში აღმოჩნდნენ, ისინი არ იქნებიან ღირსნი პროლეტარიატის ოჯახში დარჩენისა და კავშირიდან იქნებიან განდევნილი და მათი სახელი და გვარი პრესაში იქნება გამოქვეყნებული.

ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ იყოთ შეგნებული მოქალაქენი, პროფესიონალური კავშირის წევრები.

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ შეძლებისდაგვარათ ხელი შეუწყოთ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გამგეობა.

კავშირის მისამართი. რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე 4-ე სართული, ოთახი, 55.

ს.-დ. პარტიაში

(დასასრული)

გორი. დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის წარმომადგენელმა გ. გიორგაძემ, აცნობა ყრილობას იმ მძიმე და ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც ჩვენი ფრაქცია ეწეოდა და ეწევა ეხლაც. ერთადერთი ჩვენი ფრაქციაა, რომელიც როგორც თვით დამფუძნებელ კრებაში, ისე მის გარეთ რომ მუშაობს, ამხრივ სხვა ფრაქციები თითქმის სულ თავისუფალნი არიან ჩვენ საკრიტიკოთ, განაცხადა მან. დამფუძნებელ კრებას დარჩა ერთი დიდი საქმე გასაკეთებელი, კონსტიტუციის მიღება და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. შინაური და გარეშე სიფრთხე აშორებდა ხოლმე დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას მათ ჩვეულებრივ საქმეს. საგარეო ხაზი ჩვენი მოქმედებისა სწორი აღმოჩნდა. დამოკიდებულება მეზობლებთან კეთილ მეზობლური გვაქვს, შინაურ პოლიტიკაში დამფუძნებელი კრება ეყრდნობოდა ადგილობრივ თვითმართველობებს. აგრარული საკითხი ეს ჩვენთვის უდიდესი საკითხია, დიდი დრო და ენერგია მოანდომა დამფუძნებელმა კრებამ. ამიერიდან დამფუძნებელი კრება ფიქრობს სამაზრო ერობებს გადასცეს აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარების დამთავრება. ეკონომიურ ცხოვრებაში ჩვენ მხარს ვუჭერთ მუნიციპალურ წარმოებას, მაგრამ ნისიეთ გვერდით გასაქანს არ უშლით კერძო ინიციატივას და კერძო წარმოებას. დამფუძნებელ კრებას სურს ფინანსების გასაუმჯობესებლათ ჩვენ წარმოებაში უცხოეთის კაპიტალი დაბანდოს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. მომხსენებელმა ყველას პასუხი გასცა და ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინეთ რა მოხსენება ამხ. გ. გიორგაძისა დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციის მოქმედების შესახებ, გორის მაზრის ს.-დ. კონფერენცია სცნობს, რომ ფრაქციამ თავის მოქმედებაში სწორი პოლიტიკური გზა აიღო და ს.-დ. დეპუტატები ღირსეულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როგორც დამფუძნებელ კრებაში, ისე მის გარეთ. კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს უფრო მჭიდრო კავშირი იქონიონ დამფუძნებელ კრების ხალხის შორის, აგრეთვე სასურველათ მიაჩნია დამფუძნებელმა კრებამ სათანადო ზომები მიიღოს მიწის და ტყის კანონ დეკრეტების ცხოვრებაში სწრაფად განხორციელებლათ.

თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. რამიშვილმა, რომელმაც მშვენივრად დაასურათა თანამედროვე მდგომარეობა და სთქვა, რომ ჩვენ ვართ ერთად ერთი ხაზში საქართველოში სოციალ-დემოკრატიისა და არა მარტო სახელმწიფო მოღვაწენი. ამ ჟამად მთელი რევოლიუციონური ქვეყანა გაყოფილია ორ მთავარ ბანაკათ, იმის და მის დღით, თუ როგორ სახელდებენ სოციალურ-რევოლიუციის გზასა და განხორციელების წესს. აქ მოიყვანა მრავალი ისტორიული მაგალითები განვლილ რევოლიუციებიდან და სთქვა: ჩვენს პარტიას ქვეყნის სოციალ-დემოკრატია და ჩვენ მივდივართ ამ დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ და სხვ... მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მ. კლიმიაშვილმა, შ. ჯავახიშვილმა, გაბელიავამ, გ. ოქროპირიძემ და ნ. იმნაიშვილმა; მომხსენებელმა უპასუხა ყველას და ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნ. რამიშვილისა თანამედროვე მომენტის შესახებ, გორის მაზრის ს. დ. კონფერენცია აღიარებს, რომ საქართველოს სოც.-დემ. პარტიამ სამედროთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიპყრო მთელი პოლიტიკური ბატონობა და თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა. სოციალ-დემოკრატია ესწრაფის, რათა სახელმწიფო ძალა უფრო, რომელიც მას მიანიჭა დემოკრატიის პოლიტიკურმა გამარჯვებამ, გამოიყენოს ყველა სოციალ-პოლიტიკურ რეფორმათა საუკეთესო განსახორციელებლათ და შემდეგ წარმოების და საფუძვლების ახალ ხელში მოწყობით და მათი განვითარებით შექმნას წინასწარი პირობები სოციალისტური წყობილების დასამყარებლათ. პარტიის ვალია ხელი შეუწყოს სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიულ წარმოების გაფართოებას და თანდათანობით საზოგადოებრივ ახალი საწარმოო დარგების შექმნას. აგრეთვე უმთავრესს საექსპორტო საქონელზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებას და განმტკიცებას. ახლათ პოლიტიკა თავდები იქნება დემოკრატიულ სახელმწიფოს განმტკიცებისა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მათი ხანგრძლივი ეკონომიური განთავისუფლებისა. კონფერენცია აღნიშნავს, რომ კომუნისტური რუსეთი ფაქტიურათ ფეხ-ქვეშ თელავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას და ემუქრება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობას. კონფერენცია მოუწოდებს გორის მაზრის მშრომელ ხალხს ერთსულოვნათ შემოკრბეს დემოკრატიის ნების ხორციელთ გამომხატველ დამფუძნებელ კრების და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის გარშემო და მათთან ერთად საშიშროების დაიცვან თავისუფალი საქართველოს საზღვრები მომხდურთა ძალადობისაგან. კონფერენცია სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ერთსულოვანი მოქმედებით მშრომელი ხალხი დაიცავს დემოკრატიულ საქართველოს დამოუკიდებლობას ყოველგვარ საფრთხისაგან და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვებს სოციალიზმის ბრწყინვალე სამეფოსაკენ.

პირველ დღის სხდომა ამით დასრულდა და მეორე დღეს გაიხსნა დილის 9 საათზე, თავმჯდომარეობს ისევ ცაბაძე. მოხსენებას აკეთებს გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე მ. კლიმიაშვილი, სამაზრო ერობის მოღვაწეობა-მოქმედების შესახებ, რომელმაც განაცხადა, რომ ერობის საქმიანობა ვრცელი და მრავალ მხრივია და ჩამოთვალა ყველა ის საქმეები, რომლებსაც ერობა აკეთებს. მოიყვანა ციფრები განვლილი წლის შემოსავლისა, რომელიც უდრის 15,00000 მილიონ მან. გას. თითქმის სხვა... ხოლო, რომ ვფიქრობთ მთავრობის შეუწყნარებლად მოგვართოთ ჩვენ საქმეებს და ამ მიზნით შინაურ სოფლებიდან სესხის აღება.

მომხსენებელს მისცეს საქმიანი შეკითხვები, და მანაც ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენება შინაარსიანი და საქმიანი იყო, მხოლოდ ყრილობას არავითარი რეზოლიუცია არ გამოუტანია. შემდეგ მოხსენებას აკეთებს საოლქო შტაბის წარმომადგენელი ამხ. ი. გაბუნია, რომელიც ციფრებით ხელში უშლის ყრილობას სანუგეშო სურათს, როგორც განვლილი, ისე არსებულ მდგომარეობისას ჩვენს მაზრაში, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა, რომ ეხლა ჩვენს განკარგულებაში ერთი სარეზერვო ბატალიონია, რომელიც უდრის 2008 ჯარისკაცს, ჯვარს ოთხი რაიონული და ხუთი რწმუნებული. თითქმის არ ყოფილა ისეთი ფრონტი, რომ ჩვენს ჯარებს მონაწილეობა არ მიეღოს და ხსნებიც შეეძლოთ; ნაერთი დანაკარგია 146 ჯარისკაცი, დაჭრილ-დასახიჩრებულნი 225. დღემდის დახარჯული გვაქვს 700,000 მანეთი.

1919 წლის სეკტემბრიდან დღემდე ორჯერ გვქონდა ჯარისკაცთა წარმომადგენლების ყრილობა მომენტის მიხედვით. კულტურულ მუშაობას ფართო ადგილი აქვს ჯარში. ეკონომიური მხრივაც ჯარი არ ჩამორჩება სხვებს, ყარაიაზში და სხვაგანაც, რაიონული შტაბების ინიციატივით მეურნეობა ს არმიებს და ჩვენ ვფიქრობთ ამ მხრივ დიდ ნაბიჯებს გადავდგამთ და შესაძლებელია ახლო მომავალში ძალზე შევუმციროთ მთავრობას ჩვენი შენახვის ხარჯები. შტაბში ჩვენი პარტიული ამხანაგი არიან (სულ კი 8 კაცია შტაბში). ყრილობამ სრული და იმედიანი შთაბეჭდილება მიიღო ჯარების წარმომადგენლის მოხსენებიდან და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინეთ რა ამხ. ი. გაბუნიას მოხსენება გორის საოლქო შტაბის მოქმედების შესახებ, გორის მაზრის ს. დ. კონფერენცია სავსებით კმაყოფილია შტაბის მუშაობით, სალამს უძღვნის იქ მომუშავე ამხანაგებს და უსურვებს მომავალშიაც ნაყოფიერ მუშაობას, ჩვენი რესპუბლიკის და დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

ყრილობა შეეხო რესპუბლიკის მომავალ ყრილობაზე წამოყენებულ ზოგიერთ კითხვებს. ამის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე რამიშვილი ინტერნაციონალზე, იგონებს პირველ ინტერნაციონალს, მეორეს, მესამეს და შეეხო ცნობილ ამხანაგების მოწოდებაზე უფრო მეოთხე ინტერნაციონალის შესაქმნელ და ბერნის კონფერენცია იწვევს ყველაფერი კომიტეტის აზრს ამ საკითხში. დამოკიდებულება ამ პარტიებთან ნ. რამიშვილის მეორე სიტყვას შემდეგ კრება ეხმაურება ყურადღებით კოალიციას რომელიმე პარტიასთან საქართველოში.

საკითხი მთავრობისა და პარტიის შესახებ. მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. იმნაიშვილი, რომელიც მრავალ საბუთებით ასრულებს თავის მოხსენებას და ამტკიცებს, რომ მას პრინციპიალურადაც და პრაქტიკულადაც შეუთავსებლათ მიაჩნია ის გარემოება, რომ მთავრობის წევრები იმავე დროს არიან ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციების მეთაურებად და შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: გორის მაზრის ს. დ. ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენციას არა ნორმალურათ მიაჩნია ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია სახელმწიფო და პარტიულ ფუნქციების ერთმანეთში არევით. რადგან ხშირათ შორის გამოიხატება იმაში, რომ მთავრობის და მმართველობის ორგანოების წევრები დაკისრებული აქვთ პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში საპასუხისმგებლო პოსტებზე ყოფნა. კონფერენცია აღიარებს, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობის საქმე მოითხოვს დასახელებულ ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. მეორე რეზოლიუცია ამხ. ნ. რამიშვილისა: გორის სამაზრო ს. დ. კონფერენციას პრინციპიალურად დასაშვებათ მიაჩნია, რომ მინისტრები, მუნიციპალური თვითმართველობათა ხელმძღვანელი ორგანოების და სახალხო გვარდიის შტაბების წევრები შედიოდნენ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებში, იმ პირობით, რომ ისინი მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ იმ კითხვების გადაწყვეტაში, რომელიც ეხება მათ მოღვაწეობას იმ ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომლის წევრადაც არიან.

კონფერენციამ პირველ რეზოლიუციას მისცა ხმა 11, მეორე რეზოლიუციას 18, წინააღმდეგ 11, თავი შეიკავა 11. შემდეგ სამაზრო კონფერენცია გადადის სამაზრო კომიტეტების არჩევნებზე და ხანამ არჩევნები მოხდებოდა ამხ. ნ. იმნაიშვილი შემოაქვს სამაზრო კომიტეტის სახელით წინადადება, რომ კომიტეტს მჭიდრო კავშირი ქონდეს რაიონებთან და მაზრა და თვით გადაწყვეტილი იყვნენ საჭიროა. ყველა სათემო ორგანიზაციებს და ქალაქებს ჰქონდეს წარმომადგენლობითი კავშირი ცენტრთან. და რომ მუდმივი ცხელი იყოს სამაზრო კომიტეტისა, პრეზიდიუმი იყოს ხუთი კაცისაგან შემდგარი კავშირში. ეს წინადადება ყრილობამ მიიღო და ამ საფუძველზე არჩეულ იქნა ახალი კომიტეტი შემდეგ პირთაგან: ი. გაბუნია, გ. მინაზაროვი, ი. რუხაძე, ა. არაგვიშვილი, ა. ბიბილეიშვილი (რაბი), ა. ჭაბაძე, გ. ოქროპირიშვილი, გ. ჯაბაური, ქ. ბარნოვი, ი. საღარაძე, შალვა მაღალაშვილი, ს. გოგიჩაიშვილი, გ. ძიძიგური, ვ. მიტრეველი, ვ. ცქვიტაია, ი. იმერლიშვილი, ა. ხუნდაძე, ვ. ბასილაშვილი, ვ. ზაქრაძე, ვ. თაბაგარი, სულ კი 20 კაცი შედის კომიტეტში.

მათ კანდიდატებად: პ. იყრამიძე, მ. კლიმიაშვილი, ვ. თოფაძე, სხილაძე, შათირიშვილი, ხიბაძე, მიქელაძე, შ. ოქროპირიძე, ს. ოქროშვილი, ა. გოგუნაშვილი, ს. მელქაძე, მ. მეშველიანიშვილი, დევიძიშვილი, პანკრატიძე, მ. მეფარიშვილი და გ. ტატუნაშვილი. საკონტროლო კომისიაში ნ. პატარიძე, ა. ქვათაძე და გ. ოქროპირიძე, მათ კანდიდატებათ; რიჩუ და მამაცაშვილი.

კრების მიერ არჩეული საგანგებო კომისიამ წარმოუდგინა კრებას განვლილი წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში—თავის დასკვნით, რომ ყოველგვარი რიგზეა ნაწარმოები და ამით ყრილობაც დაკმაყოფილდა. ყრილობაზე იყო სულ წარმოდგენილი 15 ორგანიზაცია.

ცოტა ხნის შემდეგ შესდგა ახლათ არჩეულ კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვ. ცაბაძე და მდივნობდა ი. რუხაძე, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმში: ი. გაბუნია (თავმჯდომარე) გ. მანანაზაროვი (ამხანაგი), ი. რუხაძე (მდივანი), ა. არაგვიშვილი და ა. ბიბილეიშვილი.

ი. ქუთიკელი.

მუშათა შორის

ოზურგეთი. 25 აპრილს მოწვეულ იქნა საქ. ს. დ. მ. პ. ოზურგეთის რაიონულ კოლექტივისა და გურიის მუშათა ასოციაციის პრეზიდიუმთა შეერთებული სხდომა. დღის წესრიგში იდგა კითხვა პირველი მაისის დღესასწაულის მოწყობის შესახებ. გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებები: 1) დღესასწაულის ხელმძღვანელობისა და მწყობრად ჩატარების საქმეში ინიციატივას ღებულობს ადგილობრივი მუშათა ასოციაცია და ს. დ. კოლექტივი. 2) დღესასწაულს უნდა მიეცეს, რაც შეიძლება, ფართო, მუშური ხასიათი, 3) დაევალოს რაიონში მომქმედ სოციალისტურ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოებს, რათა პარტიის წევრებმა პირველ მაისს ყოველგვარი მუშაობა შეწყვიტონ და დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ, 4) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ დღისათვის პროფესიონალური კავშირთა წევრების მწყობრად დარაზმვას და პროცესიაში განსაკუთრებულ ელფერის შეტანას, 5) ხსენებულ დღეს სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში მუშაობა სწყდება, 6) მოეწყოს ახალ გაზრდობა დღესდღეობს მონაწილეობას პროცესიაში, 7) დილით რევოლიუციის მოედანზე იმართება დიდი საჯარო მიტინგი, რომელიც იხსნება მუშათა კავშირის სახელით. 8) ილაპარაკებენ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, 9) დასასრულ იმართება მხიარული საღამო, საერთოდ მთელ დღეს უნდა მიეცეს საზეიმო ხასიათი, 10) გრძელდება წითელი ფურცლები და ლენტები, 11) მოყვანილ მოსაზრებათა ფორმულებში წერილების გამომუშავება და მისი განხორციელება ევალება პირველ მაისის სადღესასწაულო კომისიას.

მიღებულ არჩეულ იქნა კომისია 5 კაცისაგან.

გახი.

პროვინცია

ხონი. 19 აპრილს შესდგა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ფილიალის კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ხონის რაიონის დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა გაფიცვა; 2) სურსათის განმანაწილებელი პუნქტის დაარსება და 3) კავშირების შეერთება.

პირველი საკითხის შესახებ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები გაიფიცნენ და საჭიროა გამოირკვეს ჩვენი მისდამი დამოკიდებულება. შემდეგ კითხულობს განცხადებას მიმართვას ფილიალისადმი, რომელშიაც ნაჩვენები იყო ყველა ის მოთხოვნილებანი, რომლითაც დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა მიმართეს მთავრობას. მოთხოვნილება ასეთია: 1) დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნან მასწავლებლები თებერვლის, მარტის და აპრილის ჯამაგირებით; 2) [illegible] 400 მ. დამატება; 3) დამატებას მასწავლებელთა 100 პროცენტები; 4) მოწყობილოდ ჯამაგირების მიღება უშუალოთ, პირდაპირ ცენტრალური მთავრობიდან და სხვა.

პირველი და მეორე მოთხოვნილებანი თუ ეს მართალია, საფუძვლით სამართლიანია, მხოლოდ რაც შეეხება მესამე მოთხოვნილებას, იგი ჩემის აზრით დაუშვებელი და შეუწყნარებელია. ამით ხონის რაიონის მასწავლებლობამ გამოუწყობელი შეცდომა ჩაიდინა. ამა, სად გაგონილა მოთხოვნის წამოყენებისთანავე გაფიცვა გამოაცხადოს. ყველასათვის ცხადია, რომ გაფიცვა კერძო საწარმოებში ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა საშუალებანი ამოწურულია, როცა ხელთ გვექნება საშუალება მას მივმართოთ. ამასთან ასე ხელმძღვანელობდა გაფიცვა იმ დროის, როდესაც არსებობს კავშირის ცენტრალური გამგეობა თუ ბიურო, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. ამიტომ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კრებამ დამოკიდებულების გამოსარკვევათ გამგეობას მიანდო ცნობების შეკრება, თუ რამდენათ სამართლიანია მათი მოთხოვნები, რომ ფილიალს მიეცეს საშუალება გადადგას ეს თუ ის ნაბიჯი.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა დაელოდოს სურსათისათვის გაგზავნილ დელეგატს, რომლის მოხსენების შემდეგ ამ საკითხის შესახებ იქონიებს მსჯელობას.

რაც შეეხება მესამე საკითხს, პირდაპირ საჭიროდ დელეგატთა ყრილობამ ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან არ შეიმუშავა გრანდიოზული სახელმძღვანელო ინსტრუქცია, თუ როგორ შეიძლება პერიფერიების შეკავშირება ერთმანეთს შორის და ცენტრთან.

ცენტრის არსებობა, ჩემის აზრით ისე, რომ პერიფერიები არ იქნენ შეკავშირებულნი, შეუძლებელია, რადგან მის ხმას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება პრავიტელსტვასთვის.

ამიტომ კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამ საკითხის შესახებ, დაავალა გამგეობას გამოუქვეყნოს ეს საკითხი პრესაში, რომ მისი მიხედვით შემუშავდეს საერთო გეგმა.

წილკანი.

თელავის ქალაქის სამკითხველო ერთად ერთი სამკითხველოა, რომელიც დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას. სამკითხველოს ინახავს ქალაქის გამგეობა, გამოწერილია ყველა ქართულ-რუსული გაზეთები, ერთიც სომხური. ამ სამკითხველოს ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას სამკითხველოს გამგეობა, სამკითხველოში იყო ხოლმე ერთნაირი უწესობა, რაც დაუშვებელია ეს სამკითხველოში, ეხლაც გრძელდება ეს უწესობა. უმთავრესი კი არის ის, რომ მთელ გამოწერილ გაზეთებში, ყოველ დღე არ მოდის ნახევარი გაზეთები ამისი, რაც აღნიშნულია დავთარში. მკითხველი ხშირათ უკმაყოფილოდ რჩება, საჭიროა ამას მიექცეს დიდი ყურადღება. გაზეთები იკარგება. საჭიროა გავიგოთ, რედაქციებში არ გზავნიან, თუ თვითონ სამკითხველოში იკარგება.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ამას ბოლო. თფილისიდან ცის მანძილით მოსულის მკითხველი გაზეთს, აქ კი ის იკარგება.

მკითხველი.

წერ. რედაქციის მიმართ

23 აპრილის „ერთობის" № ში მოთავსებულ საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის 20 აპრილის სხდომის ანგარიშის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია წინანდლის მამულის გამგის ე. რამიშვილის მუშებთან დამოკიდებულების შესახებ შეპარულია შემდეგი შეცდომა: სწერია: „რაიც გამოიხატება მუშათა ორგანიზაციების დევნაში", ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უნდა იყოს: მუშათა ორგანიზაციისათვის ანგარიშის გაუწევლობაში.

საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი **კომიტეტი.**

ბიაურ-არხის მამულში საჭიროა მუშა ქალები და კაცები.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტს. მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 200. (6. 3—1)

22 მარტს ქალაქ გორში

მომხდარ მიწის ძვრის შემდეგ იყო წამოყვანილი ქ. თფილისში მიხაილოვის საავადმყოფოში მოხუცებული ქვრივი 60 წლისა, ნინო ბებიევისა. მორჩენის შემდეგ იგი გაწერილა საავადმყოფოდან და სად წასულა ვერ გავიგეთ. ამისთვის გთხოვთ, თუ ვინმემ იცის მის შესახებ, შეგვატყობინონ შემდეგი ადრესით: ქ. თფილისი, ლევანის შესახვევი, სახლი ჯობაძის, ქ. ბეჟორაძეს. (1451—1—1)

[illegible]